# საერთო გაზეთი

№19 (752)
ოთხშაბათი
29 მაისი
2024 წ.
ფასი 1.50 ლ.




# ვეტო, სახელად „იმიტომ“, დაძლეულია!!!



# საკუთარიც ბევრი გვყავს ქვეყნის მტრები...

შოკისმომგვრელი აღმოჩნდა ბატონი ირაკლი კობახიძის განცხადება იმის შესახებ, რომ ერთ-ერთ ევროკომისართან სატელეფონო საუბრისას შეიტყო, საქართველოს დაუძინებელ მეგობრებს, ამჯერად უკვე ევროპიდან, მთელი რიგი ზომები რომ ჰქონიათ გათვალისწინებული თუ ე.წ. გამჭვირვალობის კანონზე ვეტო დაიძლევა. იმ ვეტოდებია ფინთიკოზა „კოჭლი იხვის“ ვეტო არ გაიშვას!

სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრ ფიცოს რაც დაემართა, ვიცით, მაგრამ ვინ უნდა იყოს ფრთხილად საქართველოში, ძალიან საინტერესოა, კონკრეტულად ირაკლი კობახიძე თუ მთელ „ქართული ოცნების“ გუნდს დახოცავენ და „ოცნების“ მხარდამჭერებსაც მიაყოლებენ?! ეტყობა, ეს სიტყვებიც „მეგობრულად“ უთხრა, გააფრთხილა კოსტაიასავით, „თქვენიანი ვარ მე, თქვენიანიო“. იმდენი რა ვუთხარი, ჩვენიანი ვინმე იყოს უცხო ქვეყნებიდან, უცხოები კი არა, საკუთრები გვყავს ქვეყნის მტრებად...





წინასწარი ინფორმაციით, სლოვაკეთის პრემიერზე თავდასხმის მიღმა ერთ-ერთი ქვეყნის სპეცსამსახურის კვალი რომ იკვეთება, რომელიც „გლობალური ომის პარტიასთან“ განსაკუთრებით მჭიდროდ არის დაკავშირებული, ამაზე რა პასუხი აქვთ ნეტავ, „დემოკრატიის ყალბ მამებს“, კვლავ ჩვეულ უტიფრობას მიმართავენ უძვლო ენით?!

როგორც გამოირკვა, ის ევროკომისარი ვარჰეი ყოფილა. კარგი, ბატონო, იცრუა ბატონმა პრემიერმა, მაგრამ რაღაც ვერ ეწყობა ლოგიკურად, როდესაც უნგრელი დიპლომატი ოლივერ ვარჰეი ამბობს, ჩემი სიტყვები კონსტექსტიდან არის ამოგლეჯილიო — მაშასადამე, საუბარი შემდგარა და ფიცოც უხსენებია, ასე არ არის? ვინ დააბრალა ამ კაცს დიპლომატობა, დიპლომატი ასე არ საუბრობს. გულწრფელი მწუხარება არ უშველის მის გაფუჭებულ საქმეს, ბატონი პრემიერი არ არის ის კაცი, რომელიც ჰაერზე ისვრის სიტყვებს. ფიცოზე თავდასხმა ხომ ვიხილეთ და თავდამსხმელის ვინაობაც გავიგეთ — 71 წლის კაცს რა სროლა აუტყდა, მით უფრო, ასე ღიად, თავი მოსძულდა? სხვისი არ ვიცი, ვის რა ვერსიები აქვს, მაგრამ მე ამ ევროპელებისა და ამერიკელების უკვე აღარც დემოკრატიისა მჯერა და აღარც ჰუმანურობისა.

ელემენტარულია, როდესაც ასე დაინტერესებულები არიან გაღმა-გამოღმიდან, რომ საქართველომ არ მიიღოს „გამჭვირვალობის კანონი“, ეს თავისთავად ბადებს კითხვას, რატომ? რაც მათთან მისაღებია და აუცილებელი, საქართველოში იმავე კანონის მიღება რატომ არის ასეთი სასიკვდილოდ სახიფათო, რას გავიგებთ დადასტურებულად, რაც ისედაც ვიცით და უკვე მტკიცებულებად დაიდება? გავიგებთ, რანი ყოფილან ჩვენი დაუძინებელი მეგობრები? ვიცით, ბატონო, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ვიცით, მაგრამ ხალხს მასიურად სჭირდა დასავლური გამოთაყვანება.

ევროკომისიის პრეზიდენტი, დეიდა ურსულა, უცხოურ ჩარევებს თავისი საარჩევნო კამპანიის მთავარ ხაზად მიიჩნევს და მაკრონმა და შოლმა, საინტერესოა, თმა უკვე დააწიწკნეს თუ მერე დააპუტავენ ერთიანად? არ მახსოვს, ვინ თქვა, მაგრამ ზუსტად ასე არის ჩვენი საქმე, კაცი თვალწარმტაცი ქალის ორმოცი წლის წინათ გადაღებულ ფოტოს რომ ნახავს და იმას შეჰხარის.

საქართველოს, მისი არსებობის განმავლობაში არასდროს ჰყოლია მეგობარი ქვეყანა, მხოლოდ მტრები ესხმოდნენ თავს, თუ ვინმესთან რაღაც მეგობრობის მსგავსი გვქონია, ყოველთვის ინტერესთა დროებითი თანხვედრა იყო და სხვა არაფერი. ამდენად, ახლაც „ლიპა“ აღმოჩნდა „ვილაცების“ საქართველოსთან მეგობრობა...

ეს ე. წ. დასავლეთი ხომ იგივე დასავლეთია, 2008 წლის რუსეთის თავდასხმის დროს აღშფოთება-შეშფოთებით რომ შემოიფარგლა და წყალი მოგვაშველეს 26 000 მდინარის, 800 ტბისა და მყინვარების ქვეყანას და კიდევ — პამპერსები.

ახლა დაუჩემებიათ, არავითარი „გლობალური ომის პარტია“ არ არსებობს და შეთქმულება-კონსპირაციულობის თეორიებთან გვაქვს საქმეო.

ვთქვათ, არ გვჯერა ვარჰეის სიტყვებისა, რად უნდა ლაი-ლაი, გამოაქვეყნოს საუბრის ჩანაწერი და წამიერად დამთავრდება ირაკლი კობახიძე, ხოლო თუ არ გამოაქვეყნებს, მაშასადამე კობახიძეა მართალი – ეს იმდენად მარტივი ამბავია, როგორც ის, რომ ორჯერ ორი ოთხია.

არავინ თქვას, რომ ასეთი დონის საუბრებს ორივე მხარე არ იწერს, უბრალოდ, ამ შემთხვევაში ვარჰეიმ უნდა გამოაქვეყნოს და არა ირაკლი კობახიძემ. ბატონმა პრემიერმა პრევენციის მიზნით თქვა, რაც სათქმელი ჰქონდა და ბრალი დასდო, მეორე მხარე კი ვერაფერს ამბობს, წყალწაღებულივით ხავსს ებღაუჭება.

როგორც ჩანს, ვარჰეის ვერ წარმოედგინა, რომ პრემიერი კობახიძე ასე საჯაროდ გააცხადებდა მათი საუბრის შინაარსს...

რას მიედ-მოედება ეს კაცი, რა შუაშია, რაში გვაინტერესებს რა ავალია (სამეზობლო და გაფართოების პოლიტიკა) და ვისთან არის მუდმივ კონტაქტზე. საკომუნიკაციო ხაზები ყოველთვის ღია უნდა იყოს პოლიტიკური აზრების პირდაპირი გაცვლისთვისო და აგერ, გაუცვალა კობახიძისთვის, გაგაგორებთ დორ ჩარივითო...

რა ძალისხმევას დებდა საქართველოს ამჟამინდელ პოლიტიკურ ვითარებაში ვარჰეი, იმას, რომ უკიჟინებდა საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, არ მიიღოთ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი, თორემ ძირი გამოეთხრება საქართველოს ევროკავშირისგან გზასო?

პოლარიზაციაც მათი შექმნილია, თბილისის ქუჩებში გაბრიყვებული ახალგაზრდების ყიჟინაც და კიდევ უკონტროლო ვითარებაზე საუბრობს. ბოლოს ისევ თავისას არაკუნებს, კვლავ მოვუწოდებ საქართველოს ოფიციალურ პირებს, არ მიიღონ ეს კანონი, მე კი გავაგრძელებ საქართველოს ევროპული მომავლისკენ მუშაობის მხარდაჭერასო.

ემანუელ მაკრონმა თავიანთ მოწონებულ „რუსულ კანონს“ მიხედოს, ოლაფ შოლცმა კი „ო, ლორელაი, ლორელაი, ქალო ცისფერთვალებავ“ უმღეროს — ეს ორპირა ევროპელები...

ოპოზიცია ხარობს და, პარალელურად, განგაშის ზარებს სცემს, მთლად გაგიჟდა „ქართული ოცნება“, რომ დახურონ ყველაფერი, ხომ აღმოვჩნდებით მთელი ცივილური სამყაროსგან იზოლირებულები, რომელი ევროკომისარი დაემუქრებოდა კობახიძეს, თუ იდიოტი არ არისო? ვითომ რატომ არ შეიძლება, ევროკომისარი იდიოტი იყოს, ევროპაში იდიოტები არ არიან? თურმე საქმე ის გახლავთ, რომ ამგვარი საუბარი ტელეფონით წარმოუდგენელია და ეს თუ ევროკომისარმა არ იცის, წმინდა წყლის იდიოტი ყოფილა.

სერიოზულად ვერ ვიგებ, რატომ უნდა ამ ხალხს, რომ მუდმივად ვილაცაზე ვიყოთ დამოკიდებული, ამჯერად ე.წ. დასავლეთზე და



არა დამოუკიდებელი და თანასწორი პარტნიორი სახელმწიფო ვიყოთ ჩვენი ადათ-წესებითა და ტრადიციებით.

საქმე ის გახლავთ, რომ პირველადი ფორმულირება არ უნდა შეცვლილიყო, აგენტს უნდა ერქვას აგენტი და კიდევ, სიტყვა-სიტყვით უნდა გადმოღებულიყო „ფარას“ ტექსტი. ვის ურბილებ კანონს, შენი ქვეყნის მოღალატეებს? საქართველოს, როგორც არასდროს, ახლა სჭირდება „რკინის ხელი“ და შეუვალად დადგომა.

„რუსეთი“ რომ გაუდით, ის რუსეთი არხეინად ზის და გვიყურებს, როგორ ავუჯანყდით ბატონებს, რომლებიც 1994 წლიდან დაგვეუფლნენ (1991 წელს ვიტყოდი, მაგრამ პირველი დესანტი მაშინ ჩაგვიდეს, მანამდე მოთელვას გადიოდნენ. ამათ, ამ ქვეყნის მავნებლებს ხომ რუსეთის ხსენება რამენაირად თუ შეუძლიათ, შანსს არ გაუშვებენ, რამე ახალი სისულელე არ დაახეთქონ — ახლა ის აიტეხეს, ირანში, დაკრძალვას, კობახიძესთან ერთად პუტინის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენო. საინტერესოა, რას ითხოვენ პრემიერისგან, რუსეთის წარმომადგენლებისთვის შალაბანები უნდა ერტყა?

მახსოვს, ბილბორდები რომ იყო თვალსაჩინო ადგილებზე წარწერით „ჩაწვდით ამერიკის სულს!“ ჩავწვდით და იმის იქითაც წავედით — ცხრა წელი სისხლისა და ცრემლების კალო გვქონდა საქართველოში და როგორც იდი ამინის კაციჭამიობაზე ხუჭავდნენ თვალს, იმგვარადვე იყვნენ დაბრმავებულები. არცერთი ქვეყნის ელჩს არ შეუცხადებია, აქ რა ხდებაო, პირიქით, იქით ახალისებდნენ და „დემოკრატიის შუქურად“ ჩაჩივით დაგვადეს თავზე ის სიმულიანტი.

ასეთი აბსურდი გაგონილიც არ მაქვს, მშვიდობა გვინდა, ომს გავურბივართ და ამისთვის გვიქნევენ თითს...

თურმე ნუ იტყვით, სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენს სავიზო შეზღუდვის პოლიტიკა გამოუცხადებია იმ პირებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის, რომლებიც ძირს უთხრიან დემოკრატიას საქართველოში და აშშ-ის ყოფილი ელჩი საქართველოში ჯონ ბასი ძალიან დამწუხრებულა, აქამდე საქმე როგორ მივიდა, ჩვენ მხარს ვუჭერთ ქართველი ხალხის უფლებას, აირჩიოს საკუთარი მომავალიო. ამ ფარისევლობას ხომ დასასრული აღარ აქვს, არ გვაცდიან მომავალს კი არა, აწმყოსაც და არც ენა უცვდებათ.. თურმე აშშ იწყებს შეერთებული შტატებისა და საქართველოს შორის ორმხრივი თანამშრომლობის ყოვლისმომცველ გადახედვას — დროზე დაიწყონ და თან წაიყვანონ თავიანთი აგენტები, მაგას რა სჯობს, „სუკინ სინები“, მაგრამ თავიანთი „სუკინ სინები“.

ზოგადად კი, ვისაც უხარია, აშშ-მა სანქციები დაადო საქართველოს მთავრობასო, იმას რა უნდა მოჰკითხო, იმ უსამშობლოებს, რომელთაც გოშიასავით ერთი ლუკმის მიგდება ურჩევნიათ ყველასგან თავისუფალ საქართველოში ცხოვრებას. მაძღარი მონა თავისუფლების ყველაზე დიდი მტერიაო, — მე არ მითქვამს, ვოლფრამ ფონ ეშენბახმა თქვა...

ფაქტობრივად, ღიად გამოგვიცხადეს ომი, რასაც ჯერ მხოლოდ მუქარისა და შანტაჟის სახე აქვს, არადა, ხან ფეხქვეშ გაგვიგეს „მეგობრებმა და სტრატეგიულმა პარტნიორებმა“ და ხან ლამის თავზე დაგვამხვეს ქვეყანა.

თვალს ვადევნებ ამ კანონის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს და ჯერ ვერავისგან მოვისმინე ვერც შინ და ვერც გარეთ, რატომ არ უნდა მივიღოთ ის კანონი, რომელიც მათთან დემოკრატიისთვის ხელშემწყობია? გარდა ამისა, რა თავისუფალი მედია და რა მოხარშული წაბლი აუტყდათ, საკუთარ ქვეყნებში არ აქვთ თავისუფალი მედია, საკმარისია, ოდნავ ზედმეტად გაიფართხალოს ვინმემ და ან გაურკვეველ სიტუაციაში გარდაიცვლება, ან ციხეში გამოკეტავენ გაურკვეველი ხნით.

აშშ მესამე მსოფლიო იდეოლოგიურ ომს აგებს რუსეთთან და ჩინეთთან, არ უნდათ, რომ საკუთარ „ტანკზე“ დაეტიოს ყველა არამკითხე-მოამბე „მეგობარი“?

*მაია ჭელიძე*

# ერთადერთი სწორი გზა მრავალვექტორიანი ლავირების პოლიტიკაა

**გილოცავთ, სუვერენიტეტის განმტკიცების გზაზე ისტორიული ნაბიჯი გადადგმულია, გამჭვირვალობის კანონზე დადებული ვეტო დაძლეულია და კანონი მიღებულია!**

**ორი თვის განმავლობაში ხალხის ნებისყოფისა და ფსიქოლოგიური თუ მორალური მდგრადობის გამოცდა წარმატებით ჩაბარდა და შეუპოვარი ბრძოლა გარე თუ შიდა მტრებთან ქართველი ხალხის გამარჯვებით დასრულდა.**

**დღეს პირველი აგური დაიდო სუვერენიტეტისა და ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, თვისობრივი გარდატეხა ეკონომიკური დეკოლონიზაციისა და კულტურული თვითმყოფადობისთვის ბრძოლის გარეშე ვერ მიიღწევა.**

**შემდეგი გაჩერება ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული ძალებისგან განათლების სისტემისა და მეცნიერების სივრცის გამოთავისუფლება უნდა იყოს.**





ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე გვესაუბრება პოლიტოლოგი **ლუკა ეხვაია.**

**— აშშ ქართველი პოლიტიკოსებისა და მათი ოჯახებისთვის სანქციების დაწესებას აანონსებს, რადგან ისინი, ბლინკენის შეფასებით, „ძირს უთხრიან საქართველოს დემოკრატიას და ფუნდამენტურ თავისუფლებას“. რამდენად რეალურია მათგან ეს მუქარა?**

— აშშ-ის სტრატეგიული ინტერესია, შეინარჩუნოს კონტროლი კავკასიის რეგიონზე. იმ ფონზე, როდესაც თურქეთში და აზერბაიჯანში ანტიამერიკული განწყობებია მომძლავრებული, სომხეთში კი ჯერაც ვერ დალაგდა შიდა პოლიტიკური ლანდშაფტი და დღემდე რყევებს განიცდის, აშშ ვერ მისცემს თავს იმის უფლებას, რომ საქართველოზე გავლენები სრულად დაკარგოს. შესაბამისად, აშშ-ის მხრიდან მხოლოდ წერტილოვან, ლოკალიზებულ და წამყვან პოლიტიკურ ფიგურებზე მორგებულ სანქციებს უნდა ველოდოთ. სახელმწიფოსთვის სანქციების დაწესება ამერიკისთვის ფატალური შეცდომა იქნებოდა, რაც მათი, როგორც „პარტნიორისა“ და „მეგობრის“ რეპუტაციას, საბოლოოდ შეარყევდა.

ენტონი ბლინკენის განცხადება და ჩვენი პოლიტიკოსებისა და მათი ოჯახებისთვის სანქციების დაწესება არის არასერიოზული, აგონიური და თვითდესტრუქციული სვლა. აშშ-ის ჰეგემონიური პოზიციები დაღმავალ სტადიაშია და, ამ დროს, როგორც წესი, კრიზისში შესული ჰეგემონი ბევრ შეცდომას უშვებს — ენტონი ბლინკენის ეს გაუწონასწორებელი განცხადებებიც ზუსტად ამ კრიზისის გამოვლინებაა. როდესაც საერთაშორისო წესრიგი მძიმე და ტურბულენტურ ფაზაში შედის, ამ დროს მხოლოდ ის შეგვიძლია ვურჩიოთ აშშ-ს, რომ ჩვენზე უსამართლო თავდასხმების ნაცვლად, თავდაცვითი პოზიციების გამაგრებაზე იზრუნოს ტაივანის, ისრაელისა და უკრაინის მიმართულებით.

**— „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს განცხადებით, ხელისუფლება არ აპირებს „ვაჭრობას“ ქვეყნის სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების ხარჯზე. არსებულ რეალობაში როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს შემდგომი სტრატეგიული ურთიერთობები მეგობარ ქვეყნებთან?**

— ამ ყველაფერში ახალი მხოლოდ ის არის, რომ, რაც წლების განმავლობაში კულისებში და დახურული ფარდის მიღმა ხდებოდა, დღეს ეს დაპირისპირება სააშკარაოზე გამოვიდა. დასავლეთი საბოლოოდ შიშვლდება, გარშემო არნახული სისწრაფით იცვლება გეოპოლიტიკური ლანდშაფტი, რაც ჩვენზეც სარკისებურად ირეკლება — ჩვენს მთავრობაზე და წამყვან პოლიტიკურ ფიგურებზე გაუგონარი მუქარა, ზეწოლა და შანტაჟი მიმდინარეობს, რაც მთელი ჩვენი საზოგადოების ღირსების გათელვა და შეურაცხყოფაცაა.

ჩვენს სახელმწიფო სუვერენიტეტზე თავდასხმას, ძირითადად, მუქარისა და შანტაჟის ხასიათი აქვს. პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის მიერ გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ მისი მისამართით ევროკავშირის პოლიტიკოსისგან მუქარა გაისმა, თავიდან ოპოზიციისა და საზოგადოების გარკვეული მარგინალური ჯგუფების მხრიდან ხუმრობის საგნად იქცა და ამ განცხადების ვალიდურობაში ეჭვი შეიტანეს. თუმცა, მალევე ევროკომისარმა ოლივერ ვარჰეიმ დაადასტურა, რომ მსგავსი საუბარი მართლაც შედგა და თავი მხოლოდ იმ უმწეო არგუმენტითლა იმართლა, რომ მისი მუქარა კონტექსტიდან იყო ამოგლეჯილი და მუქარაზე მეტად ეს კობახიძის მისამართით გაჟღერებული გაფრთხილება იყო.

მესმის, რომ ამ ინფანტილურ და უმწიფარ ხალხს, რომელსაც ქართველი რადიკალები ჰქვია, განათლების სისტემამ უმუხთლა და მათი ცნობიერება მედია-პროპაგანდამ მოწამლა, მაგრამ მაინც ცოტა მეტად უნდა დაატანონ თავს ძალა და შეეცადონ, იაზროვნონ, როგორც პოლიტიკურად, ასევე ინტელექტუალურად.

იმის მიუხედავად, რომ მთელი ოპოზიციური მედიაპროპაგანდა და არასამთავრობო ორგანიზაციები თავდაუზოგავად ცდილობენ, საზოგადოება დააჯერონ, რომ „გლობალური ომის პარტია“ მხოლოდ „ქართული ოცნების“ წარმოსახვის ნაყოფია, საზოგადოება ხედავს, რომ ის საფრთხეები, რაზეც მთავრობა საუბრობს, რეალური და ხელშესახებია. მთელი მედიარესურსი იმისკენ არის მიმართული, ხალხით მანიპულირება გააგრძელონ და როგორმე დაარწმუნონ საზოგადოება, რომ საქმე კონსპირაციულ თეორიებთან გვაქვს, დასავლეთიდან მომავალი საფრთხე კი არარეალურია.

მარგინალების მიერ ჩვენი სახელმწიფოს წინაშე არსებული საფრთხეების გაუბრალოება და კონსპირაციული თეორიების სიბრტყეში გამიზნულად გადაყვანა, მხოლოდ ერთ რამეს ემსახურება, — საკუთარი ბრალეულობის მიჩქმალვას, რეალური გეოპოლიტიკური სურათის დამახინჯებასა და საზოგადოების მოდელირებულ რეალობაში, სიმულაციაში დატოვებას, სადაც დასავლეთი საკრალური სივრცეა.

**— დასავლელი მეგობრები საქართველოში დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაზე მიუთითებენ. ამ დროს კი ხედავთ, რა ხდება შინ თუ გარეთ, ქუჩაში თუ სოციალურ ქსელებში. ჩვენი პატარა საქართველო მსოფლიო ყურადღების ცენტრშია, მაგრამ სწორედ ეს „ყურადღება“ გვიქმნის, მგონი, ყველაზე დიდ საფრთხეს...**

— უკვე ყველამ ვიცით, რომ ცენზურა დასავლური მედიის განუყოფელი ნაწილი გახდა. სიტყვის თავისუფლება დასავლეთში ტოტალურად ითრგუნება და ლიბერალებისთვის ამოსავალი პრინციპი „სიტყვის თავისუფლება“ მხოლოდ ფეერიული წარმოდგენალა დარჩა. განსხვავებული აზრის დათრგუნვამ საყოველთაო ხასიათი შეიძინა და უკლებლივ ყველა სოციალურ ქსელზე ვრცელდება, ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ილონ მასკის პლატფორმა X-ზე.

იმ დროს, როდესაც ქართული ოდიოზური მედია და სხვა ოპოზიციური ძალები დასავლეთიდან მომავალ საფრთხეებზე მხოლოდ ირონიულად ხუმრობენ, პარალელურად, ვხედავთ, რომ დანარჩენი მსოფლიო მთელი სერიოზულობით მსჯელობს იმ საფრთხეებსა და რისკებზე, რის წინაშეც ჩვენი სახელმწიფო დგას. X-ზე პირველი დიდი საინფორმაციო ტალღა მას შემდეგ აგორდა საქართველოს ირგვლივ, რაც პრემიერ-მინისტრმა გიორგი გვიმრაძესთვის მიცემულ ინტერვიუში გლობალური ომის პარტიისგან მომავალ საფრთხეებსა და დასავლეთის დეოლიგარქიზაციის საჭიროებაზე ისაუბრა.

ჩვენგან განსხვავებით, მსოფლიოში კარგად ესმით, თუ რა ძალები იგულისხმება გლობალური ომის პარტიის უკან, რადგან მათ მეტი იციან დასავლური ნეოკოლონიალიზმისა და ამერიკული იმპერიალიზმის ისტორიაზე, მეგაკორპორაციებისა და ამერიკის სამხედრო ინდუსტრიული კომპლექსის გავლენებზე და იმაზეც, ეს ყველაფერი როგორ მჭიდროდ არის შეზრდილი და გადახლართული ამერიკის ორპარტიულ სისტემაში.

X-ზე ყველაზე განხილვადი თემა გახდა კობახიძის განცხადება, სადაც ის ამბობს, რომ დასავლეთში, პოლიტიკური პროცესების კონსტრუქციულ ფაზაში გადასვლა, წარმოუდგენელია „დეოლიგარქიზაციის“ გარეშე, რაშიც, უმთავრესად, დასავლეთის პოლიტიკური კლასის ფინანსური ელიტის გავლენებისგან გათავისუფლება მოიაზრება. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ მოხვდა პრემიერი და მისი განცხადება X-ის ტრენდებში, როდესაც დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებულ მოხსენებაში კობახიძემ პრეზიდენტი სახელმწიფო ღალატში დაადანაშაულა.

მთელი მსოფლიო გამადიდებელი შუშით აკვირდება საქართველოში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს, რადგან, ერთი მხრივ, ხედავენ, თუ როგორ უსამართლოდ ექცევა დასავლეთი საქართველოს და მეორე მხრივ, უკრაინის ფრონტზე სერიოზული პრობლემების პარალელურად, საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის საკითხი აქტუალობას არ კარგავს.

**— დღეს, როგორც არასდროს, ახლოს ვართ მიზანთან, საქართველო იყოს სუვერენული ქვეყანა, თუმცა, სწორედ დღეს ვხედავთ, რომ მხარდაჭერა დასავლეთის მხრიდან კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. გამოსავალს რაში ხედავთ?**

— საუკუნეებია გადარჩენისთვის იბრძვის და გზას იკვალავს ჩვენი ხალხი. თითოეულ ისტორიულ ეპოქაში, თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და დამოუკიდებლობისთვის ყველა შესაძლო გზითა თუ სტრატეგიით ვიბრძოდით. დროებითი კომპრომისებისა და მრავალი მარცხის მიუხედავად, არასოდეს გავტეხილვართ და უმძიმესი კრიზისული პერიოდებიდანაც საბოლოოდ თავაწეულები გამოვსულვართ.

ჩვენ ვართ უნიკალური ხასიათით გამორჩეული უძველესი ერი და ცივილიზაცია, რომელსაც ღირსებისა და სიამაყის მძაფრი შეგრძნება გააჩნია. ჩვენს კულტურულ კოდშია ჩადებული ბავშვური სილაღე, გულწრფელობა, გულში სიავის არჩადება, სულგრძელობა, მეგობრობა და უცხოს პატივისცემა, მაგრამ ჩვენივე ხასიათის განუყრელი ნაწილია უსამართლობასთან ვერშეგუება, ქედმოუხრელობა და უდრეკობა.

ახლა, როდესაც დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაშია შესული, ისე, როგორც არასდროს, სიბრძნე, სიმშვიდე, შორსმჭვრეტელობა და სიფხიზლე გვმართებს.

თანამედროვე მსოფლიოში, სადაც ძალთა ბალანსი იცვლება და ამ გარდამავალ პერიოდში ახალი კონფლიქტური კერები და კრიზისები იჩენს თავს, ერთადერთი გამოსავალი პრაგმატული, რაციონალური და ეროვნულ ინტერესებზე დამყარებული საგარეო პოლიტიკის გატარებაა. ვასალიტეტი არასოდეს არის გამოსავალი, არც ჩრდილოელი მეზობლის და არც დასავლეთის. ერთადერთი სწორი გზა მრავალვექტორიანი ლავირების პოლიტიკაა და გეოპოლიტიკურ რუკაზე უნიკალური ნიშის დამკვიდრება, რაც მარტივი ამოცანა არ იქნება, მაგრამ სუვერენიტეტის განმტკიცების გზაზე ულტერნატივო სტრატეგიაა.

სწორედ ამ ამოცანისთვის ღირსეულად თავის გასართმევად არის საჭირო კვალიფიციური კადრების მოძიება და ახალი კვლევითი ცენტრების დაკომპლექტება, რომლებიც მთავრობას კონსულტაციებს გაუწევდნენ სხვადასხვა გეოპოლიტიკურ საკითხებზე. ამ რთულ პერიოდში პოლიტიკურმა კლასმა, ინტელექტუალებმა და მეცნიერებმა ერთად უნდა იმუშაონ ფუნქციური საგარეო პოლიტიკის დოქტრინის შემუშავებასა და საერთაშორისო დონეზე პარტნიორთა ქსელის შექმნაზე.

*ნონა ქარქაშაძე*



# განათლების სისტემაში ჩაბუდებული „ნაცები“ ახალგაზრდებს წამლავენ



გვესაუბრება ისტორიკოსი, ანალიტიკოსი **სოსო მანჯავიძე:**

**— ბატონო სოსო, აშშ „რუსულ კანონზე“ პასუხისმგებელ პირებს და მათი ოჯახის წევრებს სავიზო შეზღუდვებს უწესებს. და ეს ყველაფერი „ქართველი ხალხის მხარდასაჭერად“ კეთდება, რომელიც ამერიკამ დემოკრატიისთვის ძირისგამომთხრელ საქმიანობაში ეჭვმიტანილი ხელისუფლებისგან უნდა დაიხსნას.**

— ზოგადად, აშშ-ის „დემოკრატიული“ ადმინისტრაცია მთელ მსოფლიოში უმართავ პროცესებს რომ გააჩაღებდა და დესტაბილიზაციის, ქაოსის შემომტანი იქნებოდა, ამაზე დიდი ხანია, ვსაუბრობ. „ფერადი“ ადმინისტრაციის მიზანი მისი წარმმართველი იდეოლოგიის — ლგბტ-ის მთელ მსოფლიოზე მოხვევა, ე.წ. დემოკრატიების, ფერადი რევოლუციების და ა.შ. მხარდაჭერაა.

საქართველო, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ე.წ. „ნაკონდას მარყუჟის,“ ანუ რუსეთის გარშემო არსებული ცეცხლოვანი რკალის ერთ-ერთი რგოლი ვართ. უკრაინა, მოლდოვა, პოლონეთი, საქართველოც, ყველანი ამ რგოლში ვართ. შედეგად, სამხრეთ კავკასიიდან ძალისხმევის ვექტორები შუა აზიამდე მიდის. ამავე დროს, რუსეთის სამხრეთისთვის, როგორც დესტაბილიზაციის შესაძლო ფაქტორი, ისე განვიხილებით. თუ საქართველოში, ან გინდაც სომხეთში მთავრობების ფორმირება ვერ მოხერხდა, განიხილება მეორე ვარიანტი — ე. წ. მართვადი ქაოსი, რა დროსაც საქართველო რეგიონისთვის პრობლემად უნდა იქცეს და ევრაზიის ინტეგრაციული ლოჯისტიკური პროექტები ჩაიშალოს.

საქართველოს ხელისუფლების უარი იმ როლის შესრულებაზე, რაც ამ პროექტის ავტორებს აქვთ განზრახული, მათში დიდ გაღიზიანებას იწვევს. ასაქართველოს ხელისუფლებას სუიციდური ნაბიჯების გადადგმა სულაც არ სურს, რამაც ამერიკელების აღშფოთება-გაოცება გამოიწვია — როგორ, ჩვენი გეოპოლიტიკური ინტერესების გამო თვითმკვლელობაზე არ მიდიხართო?! პარადოქსია, მაგრამ მათი მარიონეტები უკრაინიდან ღიად მოგვიწოდებდნენ, სასწრაფოდ აფხაზეთსა და ცხინვალში შეიჭერითო.

დღეს უკრაინაში მძიმე მდგომარეობაა. ამიტომ, ამერიკელი სტრატეგოსებისთვის სასურველია ამ პროცესებში მოლდოვასა და საქართველოს ჩართვაც. შედეგად, ბლინკენისა და ამერიკული გავლენის ქვეშ მყოფი ევროპული ქვეყნების მუქარა გასაკვირი არ არის.

აშშ-ისთვის მიუღებელია, საქართველოში მათმა აგენტურამ დეკლარაცია შეავსოს. ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციების აგენტურულ ქსელს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ლეგალური განყოფილება — „დემოკრატიის ხელშეწყობის ფონდი“ აფინანსებს. ეს გრანტიჭამიები, რომლებიც აქ განტოტვილნი არიან, თავის მხრივ, აფინანსებენ სტუდენტებს, თანამშრომლებს. ეს მობილური ჯგუფი „დემოკრატიული დასავლეთის“ მიერ იმისთვის ფინანსდება, რომ ესა თუ ის ხელისუფლება მორჩილებაში ჰყავდეს. ეს ქსელი, ასევე, ემსახურება იმასაც, რომ თავისი აგენტურული საქმიანობა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ აზერბაიჯანში, ირანში, რუსეთშიც განახორციელოს. აქედან გამომდინარე, გამჭვირვალობის კანონი, როგორც მათი აგენტურის ხელშეუხებლობის დარღვევა, ისე აღიქვეს და მთელი პოლიტიკური შემადგენელი დარაზმეს.

**— ასეთი აქტიურობა რაზე მიანიშნებს?**

— ეს დაკავშირებულია შემდეგთან: დასავლეთს საქართველოში თავისი მორჩილი მთავრობის მოყვანა სურს. ლიდერი უკვე შერჩეული ჰყავთ. ეს გახლავთ გვარამია, რომელიც საქართველოს ზელენსკი უნდა გახდეს. ამიტომაც გაპარსეს, გაკრიჭეს, „შარვალ-კოსტუმი“ ჩააცვეს და ევროპარლამენტში გვერდით მოისვეს — მას ლიდერად მოიაზრებენ. განზრახვას არც მალავენ: დაგეგმილია ძალადობრივი გადატრიალება, დასავლეთი მათ ფიზიკურ ძალას მიაშველებს და სასურველ პერსონებს გაანადგურებენ.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ შემოაბრუნა ხელისუფლებამ კანონი მაინცდამაინც ახლა, არჩევნებამდე?**

— საქმე ის არის, რომ გამჭვირვალობის კანონი ნჯო-ებს საშუალებას არ აძლევს, რევოლუციის მობილიზება მოახდინონ, რადგან მათი ფულის მოძრაობა კონტროლის ქვეშ მოექცევა. ამიტომ მოქმედება დროზე ადრე — არჩევნებამდე დაიწყეს. თან, დასავლეთს ეჩქარება — უკრაინის ხორცსაკეპი მანქანისთვის ახალი მასალა სჭირდება. რაც შეეხება ხელისუფლების გათვლას, მან იცოდა, რომ გამჭვირვალობის კანონის მიღებას ევროკავშირის მხრიდან მწვავე განცხადებები მოჰყვებოდა, მაგრამ ხელისუფლებამ იცის, რომ ივნისიდან ევროსაბჭოს პრეზიდენტი ორბანი იქნება. გარდა ამისა, ევროპაში არჩევნებია და ვარაუდობენ, რომ გამარჯვება მემარჯვენე ძალების მხარეს იქნება. ჩვენს ხელისუფლებას იმედი აქვს,



რომ საქართველოს მიმართ მიდგომები შეიცვლება.

**— ამერიკა კანონის გაწვევის შემთხვევაში ვიზალიბერალიზაციას დაგვპირდა...**

— მოგზაურობის შეზღუდვაზე დაწესებული სანქციები ძალიან კომიკურად ჟღერს. არანაკლებ კომიკურია ის, რომ ბლინკენს ახლა გაახსენდა, კანონის უკან გაწვევის შემთხვევაში, საქართველოსთვის ვიზა-ლიბერალიზაციის მინიჭების საკითხის განხილვა და ჩვენი ჯარის შეიარაღება. ეკონომიკურ დახმარებაზე კრინტსაც არ ძრავენ. საქართველოს ეკონომიკაში ერთი ცენტიც არ ჩაუდიათ.; ომისკენ მოგვიწოდებენ და იარაღს არ გვაძლევენ, თან, გვეუბნებიან, სტრატეგიული პარტნიორები ხართო და ამ დროს საქართველოს მოქალაქეებს მექსიკიდან აშშ-ში გადასვლა ფორთხვით და სიცოცხლის ფასად უხდებათ. აშშ-ის საელჩო კორუფციის წყაროა — საქართველოს მოქალაქეები ამერიკაში წასასვლელად ათიათასობით დოლარს იხდიან. აი, ასეთი მეგობრული დამოკიდებულება აქვთ ჩვენს მიმართ.

ბლინკენს ერთ-ერთმა სენატორმა პირდაპირ უთხრა, თქვენი პოლიტიკის გამო, მთელი დედამიწა გადაგვეკიდა, ამერიკელები თავს უსაფრთხოდ მსოფლიოს ვერცერთ წერტილში ვეღარ გრძნობენო. მისი სულელური ქმედებები ზღვარს გასცდა. თვალსაჩინოებისთვის ისიც კმარა, ირანის პრეზიდენტის დაღუპვის მერე რომ თქვა, ირანელი ხალხი ახლა უფრო კარგად იცხოვრებსო. აქეთ ჩინელებს ასწავლიდა ჭკუას — ხელი შემიწყვეთ ჩემი მტრის მოხრჩობაში, რათა მერე თქვენ ადვილად მოგახრჩოთო. სი ძინპინი გაოგნებული უყურებდა.

ზოგადად, ამერიკული პოლიტიკური კლასის დეგრადაცია დაკავშირებულია იმ ავადმყოფურ იდეოლოგიასთან, რომელიც ადამიანებს გონებას უბნელებს. გავიხსენოთ, რას ამბობდა თეთრი სახლის ყოფილი პრესსპიკერი: შეგვიძლია კუნძულს ტროსები მოვაბათ და ისე გადავაადგილოთო! თეთრი სახლის ამჟამინდელი პრესსპიკერის, ლგბტ თემის წარმომადგენლის კარინ ჟანპიერის ამერიკული ოცნების ახდენა რაც იქნება, ყველანი კარგად ვხვდებით. მასვე ეკუთვნის ფრაზა, ჩვენ და უკრაინელებმა ჰიტლერი და სტალინი ერთად დავამარცხეთო. მერე უკვირთ, რატომ მომძლავრდა მსოფლიოში ანტიამერიკული განწყობები.

**— ბატონო სოსო, ამ პროცესში ახალგაზრდების ჩართულობაზე რა მოსაზრება გაქვთ?**

— სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ მცდარი პოლიტიკის გამო განათლების სიტემაში კვლავ ნაცები არიან ჩაბუდებულნი. სტუდენტებს ისეთი პერსონები ასწავლიან, რომლებიც ახალგაზრდებს პირდაპირ წამლავენ: ლევან ბერძენიშვილი, თამარ კორძაია, თინა ხიდაშელი, დავით უსუფაშვილი, გიგი თევზაძე, რატიანი და ა.შ. ანუ, მთელმა ლიბერალურმა ქაფმა თავი ცოდნის ტაძარში მოიყარა. „ფეისბუქს“ კი კინწურაშვილი „აკონტროლებს“ და მისი ფაქტჩეკერები ნორმალურ, განსხვავებულ აზრზე გამალებულნი ნადირობენ. აი, ამ სიგიჟეს უწყობენ ხელს.

„ქართული ოცნების“ უპასუხისმგებლო ქცევის გამო, ახალგაზრდობა ზომბირების ტექნოლოგიების წინაშე დაუცველი აღმოჩნდა. ახალგაზრდობა მიშვებულია და შედეგებსაც ვხედავთ. ამ თაობის დაბრუნება რთული იქნება...

**— ბოლოს გკითხავთ, როგორ აღიქვით ვარჰეის სატელეფონო საუბარი პრემიერ კობახიძესთან?**

— ეს გახლავთ მუქარა — ჭკვიანად იყავი, თორემ იგივე დაგემართება, რაც ფიცოსო. იურაი ჩინტულას მიერ პრემიერ ფიცოსთვის ნასროლი ტყვია, ვარჰეიმ პოლარიზაციას დააბრალა. არადა, პოლარიზაციის მთავარი ხელშემწყობები თავად არიან. მათ პოლიტიკურ თაღლითობას ზღვარი არ აქვს. თურმე, 71 წლის მწერალი ჩინტულა თავად შთაგონდა, ფიცოსთვის ტყვია რომ ესროლა?! კარგად ვიცით, ეს შთაგონებები საიდანაც მოდის.

ამერიკელები იმუქრებიან, ხელისუფლების მაღალჩინოსნებზე კომპრომატები გვაქვს და თუ კანონს არ გაიწვევენ, მათ გავაცამტვერებთო. მუქარის ავტორებს უნდა ესმოდეთ, რომ იგივე სახის კომპრომატები მათზეც არსებობს. რა კომპრომატებზე საუბრობენ — საქართველოს პირველი პირები რუსეთის ხელმძღვანელობას ელაპარაკებიან?! ძალიანაც კარგი, თუ ელაპარაკებიან. ჩვენ სასწრაფოდ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია გვჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული უსაფრთხოების პრობლემები გამწვავდება და კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდებით. ჩვენი პრიორიტეტი ქვეყნის ინტეგრაცია, აფხაზებთან, ოსებთან, სამეზობლოსთან მოლაპარაკება უნდა იყოს, რათა საქართველო ყველასთვის მშვიდობიანი ქვეყანა გახდეს. ეს ჩვენი განვითარების, გადარჩენის ერთადერთი გზაა.

**თამარ შველიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერიკის ადმინისტრაცია გონებრივი შესაძლებლობებით მოქმედ პრეზიდენტს დაემსგავსა



გვესაუბრება სასამართლო სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი:

## „ბოშათა ბანაკი"

გული მწყდება, რომ ისტორიაში პირველად ჩინურმა სატვირთო ავტომობილებმა ევრო[illegible]ი ტვირთის სატრანზიტო გადაზიდვა საქართველოს გავლით დაიწყეს და ამის სათანადოდ გაშუქების ნაცვლად, ოპოზიციური ავტორიტეტით სარგებლობს, რაც საკმაოდ მტკივნეულია. ეს მეთოდი გამოიყენეს, ვთქვათ, მედიასთან კობახიძის შეხვედრის დროს. აბა, ქალაქის გიჟს გინდ დასცინე, გინდ — არა, მისთვის სულერთია. სხვათაშორის, ოპოზიციაში ქალაქის გიჟის „პროფესია" ბევრმა პოლიტიკოსმა მოირგო.

ჟურნალისტების ნაწილს წარმოდგენა არ აქვს, რა ხდება მისი ტელეარხისა და პოლიტიკური



არხები „ბოშათა ბანაკს" დასდევენ. მთელი მედია დაკავებულია იმის გაშუქებით, თუ რა მარშრუტი აქვთ ბოშათა ბანაკის სტილში მოხეტიალე ახალგაზრდებს, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას, თანამოქალაქეებს დისკომფორტს უქმნიან და ნორმალურად ცხოვრებას არ აცლიან. მათი უმრავლესობა აზრზე არ არის, რას აკეთებს.

ეს ქაოსი არ მიკვირს, რადგან ცოტა ხნის წინ სერბეთის რევოლუციის შემოქმედების ინტერვიუს გავეცანი, რომლებიც აღწერენ, თუ როგორ თამაშ-თამაშ დაიწყეს ყველაფერი. სცენარი აქ განვითარებული მოვლენების ანალოგია — ჯერ აქცია ერთ ლოკაციაზე დაიწყეს, მერე მთელ ქალაქს მოედვნენ. ინტერვიუში აღნიშნულია, რომ უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია იმ პირების დაცინვა, ვინც ხალხში ჭაობის მიღმა. თავიანთ პოლიტიკურ ჭაობში ტალახის სროლას და მასში ცხოვრებას ისე მიეჩვიენ, ველარ წარმოუდგენიათ, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი სულ სხვა ცხოვრებით ცხოვრობს. კობახიძესთან შეხვედრაზე მისული ოპოზიციური ტელევიზიის ჟურნალისტები ველურებივით იქცეოდნენ. ისინი სულ სხვა საზოგადოებიდან, სხვა ისტორიული რეალობიდან არიან. გახსოვთ, ფილმი „ივან ვასილევიჩი იცვლის პროფესიას", სადაც სხვა დროში გადასვლა ხდება. თითქოს ეს ჟურნალისტებიც სხვა დროიდან მოვიდნენ.

საზოგადოების მცირე ნაწილი რაღაც აბსურდებზე გველაპარაკება და ჩვენ საპირისპიროს ვერ ვაგებინებთ. ანკი როგორ უნდა გავაგებინოთ? პაპუა გვინეის აბორიგენებს გავაგებინებთ ამ საკითხების არსს? დაახლოებით იგივე უფსკრულია ჩვენი საზოგადოების უმცირესობასა და უმრავლესობას შორის. საყურადღებოა, რომ ამ ყველაფრის ფონზე ანგლოსაქსური დასავლეთი ცეცხლზე ნავთს ასხამს. ევროპელების ქცევა კი კრიტიკას ვერ უძლებს.

გავიხსენოთ თუნდაც ბალტიის ქვეყნების სამი საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი, რომელთა ქვეყნები, რაც ევროპელები გახდნენ, მათი მოსახლეობა მას მერე განახევრდა. არც ისე შორეულ წარსულში, მინსკიდან ვილნიუსისკენ მატარებლით ვიმგზავრე. როგორც კი ლიეტუვაში გადავედი, თითქოს ევროპაში კი არა, ნაომარ ქვეყანაში მოვხვდი. სოფლები სრულიად გაპარტახებულია. არადა, სოფლის მეურნეობა, რძის პროდუქტების წარმოება იქ მაღალ დონეზე იყო. ახლა კი ეს პროდუქცია პოლონეთიდან შეაქვთ და ევროპა სახელად ჰქვია. ვილნიუსში ვალუტის გადამცვლელი პუნქტი დამჭირდა და მითხრეს, მხოლოდ სადგურშია, სხვაგან არსადო. იქაურმა მოქალაქემ დაიწუწუნა: ადრე ვჩიოდით პერიფერია ვართო და ახლაც პერიფერია ვართ, ოღონდ ევროპის, თან ახალგაზრდობისგან დაცლილი და უზარმაზარი გადასახადებითო. ევროპული დირექტივების გამო ქვეყანა განადგურებულია.

სამწუხაროდ, საერთაშორისო პოლიტიკაში ბალტიის ქვეყნებმა პროვოკატორის როლი მოირგეს. ბალტიისპირელი მაღალჩინოსნები ისეთ ჭაობში არიან, არც იციოდნენ, აქ რა ხდება, ისე თავხედურად გამოვიდნენ ოპოზიციის მიტინგზე „გამჭვირვალობის კანონის" უკან გაწვევის მოთხოვნით. ამ ჭაობიდან იმ ჭაობში დეპეშა აფრინეს. ისინიც ჩამოვიდნენ და იდიოტების როლში აღმოჩნდნენ. როგორ ბედავენ, გადატრიალებაზე მოწოდებების გაკეთებას! იცით, რა განაცხადეს? — ქართული კოშმარი უნდა დასრულდესო. კოშმარში „ქართულ ოცნებას" გულისხმობდნენ. დიახ, ამ თავხედებმა „ოცნება" „კოშმარით" ჩაანაცვლეს. ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი საერთოდ ვის დაეკარგა? როდიდან აქვს საერთაშორისო პოლიტიკაში ისლანდიას რაიმე მნიშვნელოვანი როლი?!

## ანგლოსაქსების პოლიტიკა

ბლინკენმა გამოგვიცხადა, სავიზო შეზღუდვებს ვაწესებო. ფაქტობრივად, ამერიკის ადმინისტრაცია გონებრივი შესაძლებლობებით მოქმედ პრეზიდენტს დაემსგავსა. ანუ, ბაიდენის ადმინისტრაციას პოლიტიკური დემენცია სჭირს. ანგლოსაქსების პოლიტიკა რა არის? — მოქრთამვა, მოსყიდვა, შანტაჟი. თუ არცერთი არ გამოსდით, მერე პოლიტიკურ მკვლელობებზე გადადიან. მაგალითისთვის, ფიცოს, ლუჩიჩის მკვლელობის მცდელობაც კმარა. ირანის პრეზიდენტი კი მოკლულია. სხვათა შორის, ამბობენ: იმ დღეს ნისლი იყოო, არადა, თურმე მშვენიერი ამინდი ყოფილა. მკვლელობების მერე მათი შემდეგი ნაბიჯი პირდაპირ ქვეყნის სამხედრო ინტერვენციაა, რაც ერაყში, ლიბიაში, სირიაში გააკეთეს. იმედია, ამას საქართველოში ვერ გაბედავენ, რადგან ჩვენ გარშემო ყრუ და ბრმა ევროპა არ გვყავს, როგორც ეს 1999 წელს სერბეთის შემთხვევაში იყო. მაშინ შუაგულ ევროპაში უდანაშაულო მოსახლეობა დაბომბეს და ეს არც გერმანიამ, არც საფრანგეთმა ეს არ შეიმჩნია. რუსეთის პოლიტიკურმა ელიტამ აღიარა, სერბები მივატოვეთო, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ლიბერალი ელცინი ანგლოსაქსების ჭკუაზე დადიოდა.

## ცრუ ბაქიბუქი

დასავლეთი ბაქიბუქობს, რუსეთთან ომისთვის ვემზადებითო. მათ შემყურეს 1940 წლის გაზაფხულის წინა პერიოდი მახსენდება, როდესაც დანია ექვს საათში დაეცა, ნორვეგია — ორ თვეში, მერე მიჰყვა საფრანგეთი და ა. შ. თითქოს ახლა ევროპისთვის სწორედ 1940 წლის დასაწყისია. მე ასე მეჩვენება. ვითარება სწორედ ასეთია, ოღონდ ახლა თვითონ „ჩალიჩობენ", რომ 1940 წლის მდგომარეობა შეიქმნას და იმისთვის ემზადებიან, რაც ამ წლის გაზაფხულზე ევროპაში მოხდა. ოღონდ, ამ შემთხვევაში, ფაშისტური ვექტორი სხვა ქვეყნებშია გადანაცვლებული. ფაქტია, რუსეთი სანქციებით ვერ წააქციეს. რუსული გენი რუსულ გენს დაატაკეს და ეგონათ, დიდი შეიარაღებით მტერს დაამარცხებდნენ. ძმას ძმა მოაკვლევინეს, უკრაინა განადგურებულია. რუსეთი ვერ წააქციეს და ერთი ბეწო, პატარა საქართველოს ეჭიმებიან. გვემუქრებიან, დასანქცირებულთა გვარებს არ დავასახელებთო, ეს ხომ პრიმიტიული შანტაჟია და მცდელობა, რომ იქნებ ვინმე, ვისაც მათთან ფული აქვს გადამალული, „ქართულ ოცნებას" განუდგეს.

## „თეთრი ხელთათმანი"

ირაკლი ღარიბაშვილის პერიოდში ჩვენ სტრატეგიული მოთმინების ეტაპი გავიარეთ. კობახიძეს, ამ ახალგაზრდა კაცს მოღვაწეობამ რთულ პერიოდში მოუწია. კანონის შემოტანა ჩვენი მხრიდან თეთრი ხელთათმანის სროლა იყო, ოღონდ, სუვერენიტეტის გზაზე და არა ვინმეს წინააღმდეგ. მთელი ანგლოსაქსური სამყარო გვეუბნება, ქართველმა ხალხმა არ უნდა იცოდეთ, ჩვენი ფულით აოხრებას რომ გიპირებთო. ყველაფერი ცხადია. მთელმა დანარჩენმა სამყარომ იცის, რომ მეფე შიშველია. უფრო სწორად, უკვე მეფეც აღარ არის, არამედ აგონიაში მყოფი, სრულიად უგუნური ჰეგემონია, რომელმაც რუსეთს ვერაფერი დააკლო და პატარა ქვეყნებს ეჭიდავება, ეჯაჯგურება და არც კი რცხვენია. იცით, რა შეგრძნება მაქვს? — თითქოს ამ ეტაპზე ზღვისქვეშა გვირაბში გავდივართ, ზემოთ ზღვაზე კი არნახული შტორმია. ჩვენ გვირაბში ვიმყოფებით და ჯერ კიდევ მშრალები ვართ და ჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობთ.

ოცდამეერთე საუკუნეში ასეთ მსოფლიოს ვერაფრით წარმოვიდგენდი. მჯერა, რომ გვირაბს მშვიდობით გავივლით და ის არნახული შტორმი, რომელიც პოლიტიკაში მძვინვარებს, ჩვენ არ შეგვეხება: ამ განსაცდელს საქართველო გაივლის და მართლა დამოუკიდებელი გახდება. უფალმა ურთულეს პერიოდში ცხოვრება გვარგუნა. ამიტომ მოვლენები კარგად უნდა გავაანალიზოთ და საზოგადოებას სწორი ინფორმაცია მივაწოდოთ. ადამიანებს, რომლებიც სხვა სამყაროდან არიან, ამას ვერ გავაგებინებთ. ისინი შეიძლება ვერც ვერასდროს მიხვდნენ, რა ხდება. ამიტომ, ჩვენ ჩვენს თავს და, რაც მთავარია ჩვენს ქვეყანას უნდა მივხედოთ.

დიახ, საქართველო უნდა დარჩეს რუკაზე. როგორც მართლმადიდებელს მჯერა, რომ სიკეთე გაიმარჯვებს...

**თამარ შველიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოლიტიკური თანასწორობა — დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების გზა



სანამ არ დავინახავდი თუ რა შედეგს გამოიღებდა წინა პუბლიკაციები, ახლს პუბლიკაციას არ ვგეგმავდი. მაგრამ, 22.05.2024 პუბლიკაციაში (ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ მეშვიდე პუნქტში) აღმოვაჩინე აზრობრივი შეცდომა, რომელმაც მე წარმომაჩინა დასავლეთის და ამერიკის მორჩილების მომხრედ, მაშინ როდესაც მათთან: ურთიერთობას, მეგობრობას და პარტნიორობას მხოლოდ პოლიტიკური თანასწორობის საფუძველზე ვხედავ. კერძოდ გაზეთში დაიბეჭდა:

„ახლა მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ თანასწორი დასავლელ მეგობრებთან და ამერიკასთან მხოლოდ მაშინ ვიქნებით, თუ მათი მორჩილები გავხდებით. ეს ახალგაზრდებმა უნდა გადაწყვიტოთ. რატომ? იმიტომ რომ ახალგაზრდობა უძლეველი ძალაა, მთავარია ეს ძალა საქართველოს მოახმაროთ“.

უნდა დაბეჭდილიყო: „ახლა მხოლოდ იმას გეტყვით, რომ თანასწორი ვიქნებით დასავლელ მეგობრებთან და ამერიკასთან, თუ მათი მორჩილები გავხდებით, ეს თქვენ უნდა გადაწყვიტოთ ახალგაზრდებო. რატომ? იმიტომ რომ ახალგაზრდობა უძლეველი ძალაა, მთავარია ეს ძალა საქართველოს მოახმაროთ, მაგრამ სხვისი კარნახის გარეშე გადაწყვიტეთ როგორი საქართველო გჭირდებათ, ევროპის და ამერიკის მორჩილი თუ მათთან პოლიტიკურად თანასწორი“.

ხედავთ ალბათ, რაც დაიბეჭდა და რაც უნდა დაბეჭდილიყო დიამეტრალურად განსხვავებულ აზრს აწვდიან ახალგაზრდებს და ამ აზრობრივი შეცდომისთვის ახალგაზრდებსაც ვუხდი ბოდიშს და დანარჩენ საზოგადოებასაც.

ახალგაზრდებს ვურჩევ იფიქრონ რისთვის უნდა იბრძოლონ: დასავლეთისა და აშშ-ის მორჩილებისთვის თუ მათთან პოლიტიკური თანასწორობისთვის? გონიერებით, ახალგაზრდები ზრდასრულებს არ ჩამორჩებიან, ემოციები და ენერგია კი ზრდასრულებზე ბევრად მეტი აქვთ, ამიტომ არჩევანი მონობასა და თავისუფლებას შორის, კარნახის გარეშე უნდა გააკეთონ. რატომ ვახსენე სიტყვა „მონობა“? იმიტომ, რომ სხვისი კარნახით ცხოვრება მონობას ნიშნავს. არ აქვს მნიშვნელობა იმას, ამგვარი მონობა უკეთესი მომავლისთვის არის საჭირო, მაგრამ მონობა მაინც მონობაა. აქვე დავძენ, საქართველოში არიან ისეთი პოლიტიკური პარტიებიც და ისეთი ცნობილი ადამიანებიც, რომლებიც გვიმტკიცებენ, რომ ჩვენივე სასიკეთო მომავლისთვის რუსეთის მხარე უნდა დავიჭიროთ, ანუ მისი მონა უნდა გავხდეთ. ორივე შემთხვევაში საუბარია ნებაყოფლობით მონობაზე და ორივე შემთხვევაში ჩვენივე სასიკეთო მომავლისთვის.

საქართველო არავის არ უნდა დაემონოს და მეგობრობის ხელი გაუწოდოს ყველას, ვინც მასთან იმეგობრებს პოლიტიკური თანასწორობის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, რომელიმე უცხო ქვეყნის ან უცხო ქვეყნების მონობა, პირადად ჩემთვის და ვფიქრობ, ქართველების დიდი უმრავლესობისთვის, კატეგორიულად მიუღებელია, მაგრამ მიუღებელია უცხო ქვეყნის მონობა და არა საკუთარი ქვეყნის. საკუთარი ქვეყნის მონობა ქართველისთვის დიდი პატივია — „დავბადებულვარ რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი!“ ახლა თავად განსაჯეთ — ეს სიტყვები ქართველების დიდმა ნაწილმა იცის და ამ ნაწილს გულწრფელად იყოს საქართველოს მონა! ახალგაზრდებმა თავად იციან რაც სჭირდებათ, მე მხოლოდ ის ვურჩიე, არჩევანი სხვისი კარნახის გარეშე გაეკეთებინათ და ახალგაზრული ენერგია საქართველოსთვის დაეხარჯათ..

მინდა რამოდენიმე სიტყვით ვენეციის კომისიის დასკვნასაც შევეხო. ამ დასკვნიდან ჩანს მხოლოდ ის, რომ ვენციის კომისია მიუერთდა ევრო-ამერიკულ კამპანიას, რომლის მიზანია უნაგირი დაადგას საქართველოს. მაგრამ, ამჟამინდელი ხელისუფლების ხელში საქართველო სწორედ ის თეთრი რაშია, რომელიც „არ დაიდგამს უნაგირს!“. სამწუხაროა რომ ჩვენს „მეგობრებს“ მხოლოდ უნაგირ დადგმული საქართველო სჭირდებათ და ამიტომაც არ სურთ ხელისუფლების არგუმენტების გაზიარება. საქართველოს უნაგირი რომ დაადგან ჯერ ურჩი ხელისუფლება, მორჩილით უნდა ჩაანაცვლონ, ანუ საქართველოს სუვერენიტეტი საფრთხეშია. იბადება კითხვა, არსებობს თუ არა მშვიდობიანი გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან?

სამწუხაროდ, ჩემი ხედვით საქართველოს გამთლიანებასთან დაკავშირებით, 30 წლის მანძილზე ვერავინ დაავაინტერესე, მაგრამ მაინც ვიტყვი: “შექმნილი სიტუაციიდან სიამაყით გამოსვლის საშუალებას, საქართველოს გამთლიანება იძლევა“.

გამთლიანების შემდეგ, საქართველოს დასავლეთი და აშშ-ე პოლიტიკურად თანასწორად აღიქვამენ. რატომ? იმიტომ რომ სხვა გამოსავალი არ დარჩებათ, წინაალმდეგ შემთხვევაში საერთოდ დაკარგავენ საქართველოს. სანამ საქართველოს კონფლიქტები დაურეგულირებელია ამ რეგიონის დაკარგვის საშიშროებას ისინი ვერ ხედავენ, მაგრამ ცდილობენ გაიმყარონ თავისი პოზიციები მორჩილი ხელისუფლების ნებისმიერი გზით მოყვანით. ამიტომაც თვლიან საქართველოში ანტიდემოკრატიულად ყოველივეს რასაც საკუთარ ქვეყნებში დემოკრატიულად მიიჩნევენ და აქ ვერაფერს გახდები. ერთადერთი გამოსავალი საქართველოს გამთლიანებაა. შეიძლება მავანმა თქვას, რომ მე ვცდები, ამიტომ გთავაზობთ ჩავატაროთ ასეთი ტესტი. თავმოყვარე სახელმწიფო თვითონ უნდა ლებულობდეს საკუთარ კანონებს. მათ შორის გამჭვირვალობის კანონსაც. მე ტესტის ჩატარებას გთავაზობთ, მისი არსი კი ასეთია: „ვინაიდან ქართული გამჭვირვალობის კანონი თურმე რუსულია და ხელისუფლება „ვერ ხედავს“ ამას, ამიტომ ვურჩევ ხელისუფლებას დროებით დაივიწყოს თავმოყვარეობა და თხოვოს რომელიმე ნატოს წევრ ქვეყანას, რომელშიც უკვე მოქმედებს გამჭვირვალობის კანონი: გვათხოვოს, გვასესხოს ან გვაჩუქოს მისი კანონი. რას მოგვცემს ასეთი ტესტი? პასუხს კითხვაზე, ვინ ვართ ჩვენ ევროპისთვის და ამერიკისთვის? თუ დავრწმუნდებით, რომ საქართველოსგან მხოლოდ მორჩილებას მოითხოვენ, საქართველოს კი მოგეხსენებათ ევროპასთან და ამერიკასთან მეგობრობა სურს და არა მორჩილება, ავტომატურად მიხვდებით რომ საქართველოს გამთლიანებამდე ჩვენ ყოველთვის შეგვხედავენ როგორც ხელქვეითს და როგორც მორჩილს. მოგეხსენებათ, საქართველოს გამთლიანების საკითხზე მუშაობისთვის მე შემოგთავაზეთ ხუთეულის ფორმატის შექმნის იდეა. ხუთეულის ფორმატის მუშაობის წინამძღოლად კი შემოგთავაზეთ „პოლიტიკური თანასწორობით — საქართველოს გამთლიანების ცენტრი“-ის დაფუძნება ქველმოქმედ ადამიანებთან ერთად. ვიმეორებ საქართველოს გამთლიანების შემდეგ ჩვენ ქვეყანას გარე სამყარო შეხედავს როგორც პოლიტიკურად თანასწორ სახელმწიფოს.

რატომ უნდა გავამთლიანოთ საქართველო სწორედ ახლა, როდესაც მესამე მსოფლიო ომის ზღვარზე ვიმყოფებით? მსოფლიო რომ საშიში მიმართულებით მიდის ეს ფაქტია, ჩვენმა პრემიერ -მინისტრმა კი ისიც ბრძანა, რომ დასავლეთს და აშშ-ს საქართველოს უკრაინიზაცია სურთო. რა თქმა უნდა სურთ და სწორედ ამიტომ ვთავაზობ ბატონ პრემიერ-მინისტრს სერიოზულად იფიქროს საქართველოს გამთლიანებაზე და ამ მიზნით ოფიციალური თბილისი გახადოს ხუთეულის ფორმატის პირველი წევრი. ჩვენი ქვეყნის გამთლიანება, საქართველოს უკრაინიზაციის საშიშროებას მოხსნის და ამავდროულად შეიძლება გამოიწვიოს უკრაინის საქართველოზაციის იდეის დაბადება. ამიტომ, ხუთეულის ფორმატით საქართველოს გამთლიანების პროცესის დაწყება გამართლებული იქნება სულ მცირე ორი მიზეზის გამო: პირველი — იმიტომ, რომ საქართველოს გამთლიანება ხელისუფლების პირდაპირი მოვალეობაა;



მეორე — იმიტომ, რომ ამ პროცესის დაწყების თავად ფაქტი, გარკვეულ პოზიტივს შეიტანს იმ გეოპოლიტიკურ ქაოსში, რომელიც დაიწყო უკრაინის ომით და გამწვავდა ამ ომის ხელოვნურად გახანგრძლივებით. ჩემი პოზიცია ცნობილია — საქართველოს გამთლიანებაზე ერთად უნდა იმუშაოს ხუთეულის (თბილისი, სოხუმი, ცხინვალი, მოსკოვი, ვაშინგტონი) ფორმატმა. ხელისუფლებას შეუძლია, მზადყოფნა გამოთქვას ხუთეულის ფორმატში მუშაობაზე. თუ ასეთი მზადყოფნას გამოთქვამთ, შესაძლებელი გახდება მუშაობის დაწყება ხუთეულის ფორმატის დანარჩენ ოთხ წევრთან.

აქედან გამომდინარე, ვალდებული ვარ, ეს პუბლიკაცია დავასრულო თხოვნით:

ბატონო პრემიერ-მინისტრო, ნუ გაუშვებთ ხელიდან შანსს სტარტი მისცეთ საქართველოს გამთლიანების პროცესს.

ნუ გაუშვებთ ამ შანსს ხელიდან!

**როლანდ ნიკოლაიშვილი**

**„მშვიდობის საფუძვლების ანალიტიკური კვლევების ცენტრის“ თავმჯდომარე**



# სიმართლე 2008 წლის აგვისტოს ომზე

„საერთო გაზეთის” 2024 წლის 20 მარტის ნომერში გამოქვეყნდა გენერლის, ბატონ ლევან ნიკოლაიშვილის ვრცელი საუბარი გაზეთის ჟურნალისტ ქალბატონ ნონა ქარქაშაძესთან – სათაურით „მთავარია "აგვისტოს ომის" დანაშაული ბოლომდე იყოს გამოძიებული“.

მე ისტორიკოს – პოლიტოლოგი 95-ე წელში გადაბიჯებული მრავლის მნახველი და განცდილი, უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისციპლინების სწავლების 60 წლიანი უწყვეტი სტაჟით, სრული პასუხისმგებლობით და ხაზგასმით ვაცხადებ:

აგვისტოს ომის სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი აშშ გახლავთ, ხოლო ომის პრაქტიკული აღმსრულებელი ყველა დროის გამორჩეული ავანტიურისტი მიხეილ სააკაშვილი;

ეს აქსიომაა და მტკიცება არ სჭირდება.

აგვისტოს ომმა ნათლად დაადასტურა, რომ აშშ სხვისი ხელით თავისი ინტერესების აღსრულების დიდოსტატია.

ომის მე-5 დღეს, დამარცხებით გაცოფებულმა სააკაშვილმა, სატელეფონო საუბრისას, ჰალსტუხის გაშმაგებული ღეჭვის თანხლებით, საყვედურის ტონით მიმართა პრეზიდენტ ბუშს – სად არის შეპირებული დახმარება!

აჰა, ბუშს ომის დასაწყებად წაუქეზებია და დახმარებაც შეპირებია. ბუშმა სიტყვა შეასრულა და დახმარების სახით სასმელი ჭყალი და პამპერსები გამოაგზავნა; წყალი მიშას გახურებული თავის გასაგრილებლად, ხოლო პამპერსებისადაც ჯერ არს იქ გამოსადებად. ცინიზმის ნიმუშია — იტყვის ინტელექტუალი.

მივმართავ ბატონ ლევანს: ბოლომდე და სიღრმისეულად „აგვისტოს ომი“ არა და არ იქნება გამოძიებული, რაოდენ ეს ძია სემის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

დღეს მსოფლიოში სიმართლე დახშულ-დამარხულია, სანაცვლოდ სიცრუე სიყალბე ბობოქრობს, ძია სემს ასე სურს.

“საერთო გაზეთის” რედაქციას მუდარით ვთხოვ გამოაქვეყნოს ეს წერილი.

რედაქციისადმი ულრმესი პატივისცემით,

**გივი გურეშიძე** – ისტორიულ მეცნიერებათადოქტორი, პოლიტოლოგი, ქუთაისიდან;

ქ. ქუთაისი, მაისი 2024 წელი.

# მსოფლიო სასამართლო სისტემა აშშ-ს ხელიდან გაუსხლტდა...

„საერთო გაზეთთან“ საუბრობს საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი **ხათუნა ხოფერია.**

**— ქალბატონო ხათუნა, სამიოდე დღის წინათ იყო 26 მაისი, რას ნიშნავს ეს დღე თქვენთვის?**

— დღევანდელმა დღემ დაგვაახლოვა ჩვენს ძვალსა და რბილში გამჯდარ მთავარ ქართულ მიზანთან, რასაც საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი ჰქვია, რასაც სახელმწიფოებრიობა ჰქვია, რასაც 3000 წელი შეალიეს ჩვენმა წინაპრებმა. ამ ბრძოლაში ჩემი თაობა განსაკუთრებით იყო ჩართული, გამოვიარეთ უამრავი უბედურება, მაგრამ, როგორც გაირკვა, არამხოლოდ რუსეთის იმპერიას ჰქონია თავისი ზრახვები საქართველოს მიმართ, თურმე ევროპას და, ჰოი, საოცრებავ, ამერიკასაც კი, დაუოკებელი სურვილი აქვთ, ჰქონდეთ გავლენები საქართველოში.

26 მაისს, ტრიბუნასთან სალომე ზურაბიშვილი არ უნდა მდგარიყო და არ უნდა მიეყენებინა ერისთვის, ბერისთვის, ჩვენი მხედრობისა და სარდლობისთვის შეურაცხყოფა, მაგრამ ეს კონსტიტუციური მოთხოვნა იყო, რასაც ხელისუფლება ვერ დაარღვევდა. შესაბამისად, ამ ქალმა ამით ისარგებლა და კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი აგენტოკრატული, დაშიფრული ზრახვები, რაც მის „პატრონებს“ საქართველოს მიმართ გააჩნიათ.

**— აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი სავიზო შეზღუდვის პოლიტიკას აანონსებს იმ პირებზე, რომლებიც პასუხისმგებლები არიან „დემოკრატიის შეზღუდვაზე“ საქართველოში. რამდენად რეალურია მათი მხრიდან ეს მუქარა?**

— ენტონი ბლინკენი არის შეუმდგარი, გაორებული პიროვნება. ის არის არშემდგარი მუსიკოსი, არშემდგარი დიპლომატი და, პრინციპში — არშემდგარი პოლიტიკოსი! ამას ვხედავთ, როცა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მის გამოხმაურებებს ვუსმენთ. მსგავსი შეფასება, რაც მან ირანის პრეზიდენტის ტრაგიკულად დაღუპვასთან დაკავშირებით იკადრა, არის სამარცხვინო. მან თქვა, რომ ირანის პრეზიდენტის გარდაცვალება არის შვება მსოფლიოსთვის და ირანელი ხალხისთვის, თუმცა, ჩვენ ვნახეთ, როგორი სიყვარულითა და პატივით გააცილა ირანელმა ხალხმა თავისი პრეზიდენტი. ზოგადად, მიცვალებულის, კოლეგის, ამხელა სახელმწიფოს ლიდერის მიმართ მსგავსი შეფასებები ნიშნავს იმას, რომ ბლინკენს ფსიქიკაში აქვს გარკვეული დარღვევები და მისი პოლიტიკური განცხადებები სახიფათოა. ამ ყველაფრის ფონზე მან რა ილაპარაკა, ნაკლებად მნიშვნელოვნად მიმაჩნია.

პრაქტიკულად, აშშ და მსოფლიო პოლიტიკური ელიტა პოლიტიკურ ტეტორზე და დაშინების პოლიტიკაზე გადავიდნენ. გვაქვს ფიცოს მაგალითი, რომელიც სასიკვდილოდ გაიმეტეს — ეს ტიპიური პოლიტიკური ტერორია.

აქამდე აშშ-ის ხელის იარაღი იყო ჰააგის სასამართლო, რომლის გადაწყვეტილებები, პრაქტიკულად, აშშ-ის მეთვალყურეობით მიიღებოდა ათწლეულების განმავლობაში. რამდენიმე დღის წინ კი, როდესაც ჰააგის სასამართლოს მთავარმა პროკურორმა გამოიტანა გადაწყვეტილება, ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ბრალდება, დანაშაული კაცობრიობის წინაშე, წაუყენა ბენიამინ ნეთანიაჰუს და მოითხოვა ორდერი მის დაპატიმრებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ჰააგის სასამართლო გავიდა აშშ-ის კონტროლიდან, რაც იმდენად მოულოდნელი იყო ამერიკისთვის, ბაიდენი გამოვიდა და თქვა, თუ ასე გაგრძელდა, სანქციებს გამოუცხადებს ჰააგის სასამართლოს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ხვალ ვენეციის კომისიაც რომ გაუსხლტეს ხელიდან ამერიკას, მერე რა უნდა ვქნათ? ვთქვათ და, მათ ჭკუაზე გავიარეთ — როდესაც ამერიკის გავლენის ქვეშ არ იქნება ვენეციის კომისია, ჩვენ კი ხელთ მათი რეკომენდაციები შეგვრჩება, მერე რა უნდა გავაკეთოთ? ფაქტი სახეზეა, მსოფლიო სასამართლო სისტემა ხელიდან გაუსხლტა ამერიკას, ისე, როგორც სხვა უამრავი ბერკეტი, რომლითაც ის მანიპულირებას აპირებდა.

**— ფიცოს მაგალითი ახსენეთ და როგორ ფიქრობთ, ის ფაქტი, რაც პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესა და ევროკომისარ ოლივერ ვარჰეის სატელეფონო საუბრიდან გახდა ცნობილი, მუქარა იყო ვარჰეის მხრიდან თუ გაფრთხილება?**

— ეს იყო „მეგობრული“ გაფრთხილების ტონით ნათქვამი პირდაპირი მუქარა. ამით ირაკლი კობახიძეს შეახსენეს, რომ მათი გადმოსახედიდან, საქართველოს პრემიერ-მინისტრიც დაახლოებით ისეთივე თამაშს თამაშობს, რითაც დაკავებული იყო სლოვაკეთის პრემიერი. ეს იყო ხმამაღალი განაცხადი იმისა, რომ მსოფლიო პოლიტიკაში აღარ არსებობს „ბრჭყალები“, აღარ არსებობს „ფრჩხილები“, აღარ არსებობს კულუარული გადაწყვეტილებები, ყველაფერს ამბობენ პირდაპირ და მათი ეს მოქმედება წააგავს ზღვას, რომელიც, ღელვის შემდეგ, ნაპირზე ნაგავს და ჭუჭყს რიყავს. სწორედ ამ ჭუჭყის სახეა ბლინკენი თავისი განცხადებებით, გარკვეულ ევროპელ ლიდერებთან ერთად. ჩვენ კი, თუ გვინდა, რომ ზღვაში ვიბანაოთ, გვაქვს ჩვენი ზღვა, სუფთა, კამკამა და ამ ზღვას, სხვათა შორის, არავის დავუთმობთ.

საიდუმლო აღარ არის, რომ მთელი ამ პერიპეტიების და ვითომდა კანონთან დაკავშირებული იდიოტიზმის უკან მათი ეკონომიკური და ფინანსური ზრახვები დგას. მაგალითად, ეს, შავის ზღვის იმ ნაწილსაც შეეხება, რომელსაც საქართველო აკონტროლებს. აშშ-ს შავ ზღვაში სჭირდება პლაცდარმი, მაგრამ მან ვერ შემოიყვანა თავისი სამხედრო წყალქვეშა ნავები შავ ზღვაში, საქართველოს აკვატორიაში, ვერ გაგვხადა რუსული იარაღის სამიზნე, ვერ აგვაფეთქა, ვერ მოგვსპო, ვერ შეგვიწირა... აღმოჩნდა, რომ ჩვენ ყველაფერში კარგად ვერკვევით და ზუსტად ვიცით, რა არის ჩვენი ქვეყნისთვის სიკეთის მომტანი. უნდა ჩინეთს ფინანსების ჩადება შავ ზღვაში? კი, ბატონო, ჩადოს ანაკლიაში ეს თანხები, რადგან მას აქვს ძალიან დიდი ტვირთბრუნვა, ჩინეთი არ აქცევს ანაკლიას სახიფათო ობიექტად, მას სჭირდება შავი ზღვა და ამით, უპირველესად, ჩვენი ქვეყანა მიიღებს ძალიან დიდ სარგებელს.

ასევე არსებობს ირანსა და ინდოეთს შორის გაფორმებული ახალი სავაჭრო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, საქართველო მთლიანი ტვირთბრუნვის გზაჯვარედინი გახდება. რა თქმა უნდა, სურვილი იმისა, რომ მსოფლიო სავაჭრო ტრასები აკონტროლონ, ამერიკას გონებას აკარგვინებს და ავიწყდებათ, რომ საქართველო არის სახელმწიფო, საქართველოს აქვს თავისი ინტერესები და ამ ინტერესებს ბოლომდე დავიცავთ. ამიტომ სჭირდებათ მათ სასამართლოს ხელში ჩაიგდება. ამისთვის სჭირდებათ ხალხის რჩეული ხელისუფლების გამოცვლა და მარიონეტული ხელისუფლების მოყვანა, რომელიც შეძლებს შექმნას სამოქალაქო დაპირისპირების იმიტაცია, რათა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ამოიწყვიტოს და შემდეგ მართვის სადავეები ჩვენს „მეგობარ“ სახელმწიფოებს გადააბაროს სწორედ მათ, ვისაც გლობალური ომის პარტია ჰქვია.

**— თუმცა, სავარაუდოდ, სწორედ ბაიდენის ადმინისტრაციას მოუწევს ხელისუფლების გადაბარება მიმდინარე წლის შემოდგომაზე...**

— ძალიან დიდი ალბათობით, ასეც იქნება და სწორედ ამიტომ, ისინი ახლა პოლიტიკურ აგონიაში არიან. აშშ დღეს პოლიტიკურ აგონიაშია, მისი პრობლემები, მისი 42 — ტრილიონიანი შიდა ვალი, ის, რომ მან ვერ შეძლო რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობის გაფუჭება, ის, რომ მან პრაქტიკულად ყველაფერი გააკეთა ევროპის გასანადგურებლად, მაგრამ ევროპა ისევ ფეხზე დგას — რა თქმა უნდა, ამერიკას წონასწორობას აკარგვინებს. რაც მთავარია, ამერიკა დამარცხებულია უკრაინაში, დამარცხებულია ისრაელში, რადგან მას აღარ ემორჩილებიან მსოფლიოს სასამართლო სისტემები და ეს ყველაფერი იწვევს აგონიას, რომელიც სახეზე აწერიათ. ეს კარგი კი არ არის, ვინმეს კი არ უხარია მათი ასეთი მდგომარეობა — ეს ყველაფერი ისევ და ისევ მსოფლიოზე და ჩვენზე აისახება.

მინდა მადლობა ვუთხრა ჩვენს ხელისუფლებას, რადგან ვფიქრობ, რომ მსოფლიო სახელმწიფოების ცხოვრებაში უპრეცენდენტო შემთხვევაა, როდესაც ხელისუფლებისადმი ხალხის ნდობა ასეთი მყარია. ან კი როგორ არ უნდა ენდო, როდესაც ხედავ, როგორ დადის ბასრი დანის პირზე ქვეყნის პრემიერ-მინისტრი და როგორ იღებს ამხელა ტვირთს საკუთარ თავზე.

მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით, ირაკლი კობახიძე კიდევ ერთხელ დავარწმუნო იმაში, რომ შეუძლია, გვენდოს! ხალხი მას არ ვულალატებთ, ჩვენ არაფერი გვინდა მშვიდობისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების გარდა!

ნონა ქარქაშაძე





№19 (752) 29. V. 2024 წ.

შემოქმედი ყოველთვის სამყაროსავით შეუცნობელი და ამოუხსნელია. სწორედ ასეთი მშვენიერი და ზემგრძნობიარეა ბაღათერ არაბულის მრავალმხრივი შემოქმედება. ერთ-ერთ გამორჩეულ მხარეში — ხევსურეთის ხელშეუხები ბუნების წიაღში იშვა, ლექსის წერა კი ბავშვობიდანვე დაიწყო. იგი დღემდე უფლის მფარველობას გრძნობს და სჯერა, რომ ლექსის წერის ნიჭი უფლისგან მინიჭებული დიდი მადლია. უფლის მესიტყვე — პოეტი ბაღათერ არაბული რუბრიკაში „უფალი, სამშობლო, ოჯახი" ხევსურეთში გატარებულ ბავშვობასა და მის მიერ განვლილ ცხოვრების გზაზე გვიამბობს:

# ხევსურული საგა



## ხევსურეთში ყველაზე დიდ სიმდიდრედ კაცობა, ადამიანობა ითვლებოდა

ხევსურეთის ულამაზეს სოფელ მაწმაოში დავიბადე, სადაც მრავალი წლის წინათ 40-მდე ოჯახი ცხოვრობდა. როცა მე გავჩნდი, იქ მხოლოდ რვა ოჯახი — ბიძაშვილები, არაბულები ვცხოვრობდით.. სიყვარულით, ტრადიციებით, სტუმართმოყვარეობით გამორჩეულ სამყაროში ვიზრდებოდი. მაწმაო მტერსაც და მოყვარესაც მედგრად, მუშტად შეკრული ხვდებოდა. ბავშვებისთვის ჩემი სოფელი ნამდვილი აკადემია იყო.

ხევსურეთში სიმდიდრისკენ არავინ ისწრაფვოდა, ყველაზე დიდ სიმდიდრედ კაცობა, ადამიანობა ითვლებოდა. ჩემს მხარეში გამორჩეულად ოჯახი ფასობდა. ტრადიციებიდან გამომდინარე, ხევსურეთში ყველა ოჯახს ვაჟი უნდა ჰყოლოდა, რათა ჯიში, გვარი გაგრძელებულიყო. თუ ცოლს ვაჟი არ გაუჩნდებოდა, იგი თავს უხერხულად გრძნობდა და ქმრისთვის მეორე ცოლს ეძებდა, რათა მისი მეუღლისთვის ვაჟი გაეჩინა და გვარი გაეგრძელებინა. ქალი სხვათა სახლის კედლის ქვაო — ასე ამბობდნენ ხევსურეთში.

მტერი ჩვენს ქვეყანას ხშირად ესხმოდა თავს, ამიტომ ხევსურეთში მამაკაცის როლი განუზომელი იყო. აი, ამ სამყაროში ვიზრდებოდი. რვა წლის ბიჭი უკვე კაცად ითვლებოდა. ამ ასაკში ხანჯალს ვატარებდი და შემეძლო, მამასთან ერთად სანადიროდაც წავსულიყავი და ბრძოლაშიც. როცა უფროსები დარბაზში ისხდნენ და რვა წლის ბიჭი იქ შევიდოდა, ხევისბერებიც კი ფეხზე წამოუდგებოდნენ და ეტყოდნენ, მოხვედ მშვიდობითო. ამით მიანიშნებდნენ, რომ ის უკვე კაცი იყო. ბიჭიც მიუგებდა: დამხვდით მშვიდობითო. ხევსურულ ოჯახში ყვერფ-კერაის მარჯვენა მხარეს საკაცთანო სკამი იდგა, სადაც მხოლოდ მამაკაცები სხდებოდნენ. მარცხენა მხარეს კი საქალთანო სკამი იყო, აქ მამაკაცის დაჯდომა სირცხვილად ითვლებოდა. როცა ცუდად მოვიქცეოდი, მეტყოდნენ, ჭკუით იყავი, თორემ საქალთანო სკამზე დაგსვამთო. ასე გვზრდიდნენ ბავშვებს ხევსურეთში.

დღეს კი რა ხდება? — ლიბერასტები ბიჭებს კაბას აცმევენ, გოგონებს კი — ბიჭის ტანისამოსით მოსავენ და ასეთი ალრეული ფსიქოლოგიით ზრდიან ბავშვებს, რაც დიდ დანაშაულად მიმაჩნია. ლიბერალები ხევსურებისგან თუ აიღებენ კაცობის, ქალობის მაგალითს, ურიგო არ იქნება. ხევსურ ვაჟებს ერთი სული ჰქონდათ, მეფის, განსაკუთრებით, ერეკლე მეორის ლაშქარში მიეწვიათ და ომში მონაწილეობა მიეღოთ. ალბათ ხვდებით, როგორი პატრიოტული განწყობებით ვიზრდებოდით

გარდა ამისა, ბავშვობიდანვე გვინერგავდნენ სალოცავების მიმართ პატივისცემასა და მოკრძალებას. სალოცავის ტერიტორიაზე საქონელი რომ გადავიდოდა, მენახირე იქ შესვლას ვერ ბედავდა. ბავშვობაში, მწყემსი რომ ვიყავი, ველოდებოდი როდის გამოვიდოდა საქონელი სალოცავის ტერიტორიიდან, იქ ფეხის დადგმა არ შემეძლო. იქ შესვლა მხოლოდ დღესასწაულებზე იყო შესაძლებელი. დღეს ყველაფერი შეიცვალა. აი, ასეთი იყო ჩემი ბავშვობის მაწმაო — მისტიკური და მრავალფეროვანი, ვაჟკაცების საბადო. დღეს მაწმაოში რვა ოჯახიდან მხოლოდ ერთიღაა დარჩენილი, ისიც ჭალაშია ჩამოსული. 1991 წელს ჩემს სოფელში დიდი მიწისძვრა მოხდა და ახალი აშენებული სახლები დაანგრია. ბიძაშვილებს იქ ორი ხის კოტეჯი გვიდგას, სადაც დღეობებზე ავდივართ

## მშენებელ-ინჟინრობიდან — პოეტობამდე



70-იან წლებში ბარისახოს სკოლა-ინტერნატი დავამთავრე, სადაც მაშინ 300-ზე მეტი მოსწავლე სწავლობდა. დღეს იქ მხოლოდ ორმოცდაათამდე ბავშვი სწავლობს, ხოლო პირველ, მეორე კლასებში თითო-ოროლა ბავშვი თუ დადის, რაც სამწუხაროდ, კუთხის დაცლაზე მიგვანიშნებს. შატილის სკოლაში ათ ბავშვამდე თუ იქნება, რაც მთელი ხევსურეთისთვის ტრაგედიაა. მოსახლეობა ასოც ოჯახამდე თუ იქნება და ისიც მოხუცები.

[illegible]ოლაში ფრიადოსანი გახლდით, თანაც მოცეკვავე და სპორტსმენიც. მე-8 კლასში ვიყავი, როცა, როგორც რაიონის მოსწავლეებს შორის ერთ-ერთი წარჩინებული, სკოლიდან „არტეკში", ყირიმში წამიყვანეს.

გაგიკვირდებათ და ეს პოეტი კაცი პროფესიით მშენებელი-ინჟინერი ვარ. სკოლის დამთავრების მერე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სამშენებლო ფაკულტეტზე ჩავაბარე. დიდი კონკურსი იყო. მომდევნო წელს კი ჯავახიშვილის უნივერსიტეტში მეორად ფაკულტეტზე — კინო-სასცენაროს განხრით ჩავაბარე, სადაც აკაკი ბაქრაძე მასწავლიდა.

სტუდქალაქში ცხოვრების პერიოდში, პირველი რედაქცია, სადაც ჩემი ლექსები გამოქვეყნდა ჟურნალ „საქართველოს ბუნების" რედაქცია იყო: იქ იმ დროს შესანიშნავი ადამიანები მუშაობდნენ, რედაქტორი ევგენი ბართაია, პოეტები ვასილ გვეტაძე და ნელი გაბრიჩიძე. ვასილ გვეტაძემ ჩემი ნაწერები გულდასმით წაიკითხა და თანამშრომლებს უთხრა: რა კარგი ბიჭი მოგვივიდა, კარგი ლექსები აქვსო და თანამშრომლებს ხმამაღლა წაუკითხა. ფოტოც იქვე გადამიღეს და პირველივე ნომერში დაბეჭდეს. ვასილ გვეტაძემ მაშინვე ჟურნალ „ცისკარში" გამაგზავნა, თან მითხრა, იქ, აუცილებლად დაგიბეჭდავენო. პირველ კურსზე ვიყავი, როცა ჟურნალ „ცისკარში" ლექსები მივიტანე. მის რედაქტორს, ჯანსულ ჩარკვიანს მოეწონა და ჩემი ლექსები რუბრიკა „ჭაშნიკით" დაბეჭდა.

სამშენებლო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა საპროექტო ინსტიტუტში კონსტრუქტორის თანამდებობაზე დავიწყე. საპროექტო ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში ფშავში, ხევსურეთში, გუდანში და შატილში სახლები სწორედ ჩემი კონსტრუქციებით აშენდა. ასეთი პროგრამები ხელისუფლებამ დღესაც უნდა განახორციელოს, რათა მოსახლეობა თავის კერას დაუბრუნდეს. მცირე საწარმოები თუ გაიხსნება, ხევსურეთი კვლავ სიცოცხლისუნარიანი გახდება. მოგვიანებით საპროექტოდან ერთ-ერთი ქარხნის მშენებლობაზე კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსის მოადგილედ დავინიშნე. მუხიანის დასახლების პირველი მიწა ჩემი განყოფილების ხელმძღვანელობით გაიჭრა.

თუმცა აქ დიდხანს არ დამიყოვია, რადგან დიდებულმა პიროვნებამ ჟიული შარტავამ, რომელმაც ჩემი მონაცემები შეამჩნია, ჟურნალ „ცისკარში" ახალგაზრდა მწერლების გაერთიანების ხელმძღვანელად გადამიყვანა. სწორედ იქ გავიცანი ჩემი მეგობარი, შესანიშნავი პიროვნება, პოეტი და პუბლიცისტი, თქვენი რედაქტორი ვახტანგ ხარჩილავა. იგი იმ დროს „ნობათის" რედაქტორი გახლდათ. მალევე ვახტანგი პოეზიის განყოფილების გამგედ დაინიშნა, მე კი „ნობათის" რედაქტორი გავხდი. შემდეგ, ვახტანგი „კრიტიკის" მთავარ რედაქტორად გადავიდა, მე კი პოეზიის განყოფილების გამგედ დამნიშნეს. ასე მოვხვდი პროფესიით მშენებელი მწერლობაში. ბოლო წლებში, ჟურნალ „ცისკრის" მთავარი რედაქტორიც გახლდით, ვიდრე მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარედ და შემდეგ თავმჯდომარედ ამირჩევდნენ.

2000 წელს ევროპის ქვეყნების პოეზიის საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდა, რომელშიც საქართველომ პირველად მიიღო მონაწილეობა. ბედმა გამიღიმა და ისეთ პოეტებთან ერთად აღმოვჩნდი, როგორებიც იყვნენ მურმან ლებანიძე, ოთარ ჭილაძე, ლია სტურუა. ფესტივალი ანდალუზიაში, ქალაქ მალაგაში ჩატარდა. რუსეთიდან ფესტივალში ბელა ახმადულინა, ევგენი ევტუშენკო, რობერტ ვაზნესენსკი და სხვები იყვნენ მიწვეული.



ფესტივალის პირველი დღე მე და ახმადულინამ გავხსენით ბელა ახმადულინა საქართველოზე დიდი სიყვარულით ლაპარაკობდა. ჩვენი წიგნები ესპანურ ენაზე გამოიცა, რომლებიც ცნობილმა ესპანელმა პოეტებმა თარგმნეს, ასევე, მოგვიწვიეს შეხვედრები უნივერსიტეტებში, რაც ქართული ლიტერატურისთვის დიდი აღიარება იყო.

## პატრიარქის სახელობის პრემია

აღსანიშნავია, რომ არაერთი პრემია მაქვს მიღებული, მათ შორის, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის და გალაკტიონ ტაბიძის სახელობის. ჩემთვის დასამახსოვრებელი იყო ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის სახელმწიფო პრემია, რომელიც მე და ვახტანგ ხარჩილავამ მივიღეთ იმ დროს საქართველოში, ბაღდათში (ყოფილი მაიაკოვსკი), მაიაკოვსკის დღეები ტარდებოდა, რომელშიც საბჭოთა კავშირის ქვეყნების ახალგაზრდა პოეტები მონაწილეობდნენ. ეს ტრადიცია ურთიერთობების განმტკიცებას უწყობდა ხელს. თუ საქართველოში მსგავსი ფესტივალები კვლავ გაიმართება, ეს ერების დამეგობრების, ურთიერთგაცნობის საუკეთესო საშუალება იქნება.

ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის ახლახანს, 14 მაისს გადმოცემული საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის სახელობის პრემიაა, რაც მართლაც უძვირფასესი განძია. დიდი მადლობა პატრიარქს, საპატრიარქოს [illegible]. დაე, მშვიდობა ყოფილიყოს და პატრიარქის ლოცვა-კურთხევით საქართველო მალე გაბრწყინებულიყოს.

სხვათა შორის, აქვე გეტყვით, რომ 80-იან წლებში ნარიყალაზე წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის აღდგენის იდეის ერთ-ერთი წამომწყები ვიყავი ჩემს მშენებელ ჯგუფებთან ერთად. ნარიყალას ტერიტორია ნანგრევებში იყო მოქცეული. გურამ ფანჯიკიძის თავმჯდომარეობით (მე მოადგილე გახლდით) „დავით აღმაშენებლის საზოგადოება" დაფუძნდა და წმინდა ნიკოლოზის ტაძარი აღვადგინეთ ტაძრის აღდგენა 1997 წელს დავასრულეთ დღეს ტაძარი თბილისს ამაყად გადაჰყურებს და საოცარი მადლი იფრქვევა.

ამ ტაძრის აღდგენა-მშენებლობა მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ მის აღდგენაზე არამარტო ქართველები, არამედ ებრაელებიც მუშაობდნენ, რაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. კერძოდ, ამ საქმეში ჩართული იყვნენ ებრაელი ბიზნესმენი იაშა მამაშეროვი და რობერტ აჯიაშვილი, რომელთან მეგობრობას დღემდე ვაგრძელებ. რობერტ აჯიაშვილი 90-იან წლებში საცხოვრებლად ისრაელში წავიდა და 2017 წლამდე ერთმანეთთან ურთიერთობა აღარ გვქონია. 2017 წელს, როცა მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ვიყავი, ჩვენი ურთიერთობა კვლავ განახლდა — რობერტ აჯიაშვილმა და „გულთა კავშირის" პრეზიდენტმა პაატა იოსებაშვილმა ქართველი მწერლების დელეგაცია ისრაელში მიგვიწვიეს. დიდი ხნის მეგობრების ნახვა ნამდვილი დღესასწაული იყო. ქართველი ებრაელები მწერალთა კავშირის მადლიერების დიპლომებით დავაჯილდოვეთ თავად მე ქალაქ აშდოთის საპატიო დიპლომი გადმომეცა. ისრაელში ჩასვლა ჩემთვის მნიშვნელოვანი იმითაც იყო, რომ მოვინახულე ჩემი დები, რომლებიც 17 წელი არ მენახა. რობერტ აჯიაშვილი, ამჟამად „გულთა კავშირის" პრეზიდენტია, ქართველი და ებრაელი ხალხების ურთიერთობის განსამტკიცებლად არაერთ კეთილ საქმეს აკეთებს.

1986-87 წლებში ფოთის ქალაქკომის პირველი მდივნის ბაკურ გულუასა და ცეკას განყოფილების უფროსის ჟიული შარტავას ინიციატივით, ფოთის თევზსაჭერ სანაოსნო სამმართველოდან ატლანტის ოკეანეში შემოქმედებითი მივლინებით გამიშვეს, რაც ასევე ჟიული შარტავას იდეა იყო. თევზსაჭერ გემებზე წიგნი უნდა დამეწერა. მოსკოვიდან აფრიკაში გადავფრინდი და ანგოლადან პირდაპირ გემზე გადავედი. ატლანტის ოკეანეში ჩვენი თევზმჭერი ორმოცი გემი მუშაობდა. ზღვაში ოთხი თვე დავყავი, სადაც დავწერე წიგნი „ქართველ მებადურებთან".

## ხევსურეთის თეთრი ღამეები

ხევსურეთში, ამ უბადლო მხარეში, თითქმის ყველა პოეტია. რა გასაკვირია, ეს ნიჭი მეც რომ გამომყოლოდა. მაწმაოში ნოემბრიდან სუსხი იჭერდა და თოვა იწყებოდა. ზამთრის გრძელი ღამეების გასაძლებლად ხევსურები თავიანთ დარდსა და სიხარულს, სამშობლოს, წინაპრების საგმირო საქმეებს ფანდურზე ლექსად დაამღერებდნენ. დიახ, ხევსური ქალები და კაცები ამ ღამეებს თავიანთი სიმღერით ავსებდნენ და ალამაზებდნენ...

ლექსებს დაწყებითი კლასებიდანვე ვწერდი. დედა მეტყოდა, შვილო, ლექსის წერა ადვილია, სერიოზულ საქმეს მოჰკიდე ხელიო. აკი, გავხდი კიდეც მშენებელ-ინჟინერი. დედას მართლაც ნებისმიერ წამს, ნებისმიერ სიტყვაზე შეეძლო ლექსის თქმა. ვეტყოდი: აბა, ჩვენს იდუმალ მთებზე მითხარი ლექსი-მეთქი და ისიც უმალ მეტყოდა. მამა — სუმბატა არაბული ხევსურეთში ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება იყო, რომელიც დიდ სითბოსა და სიყვარულს ასხივებდა. ხევსურეთში მისიონერი ცოლ-ქმარი გელაშვილები დადიოდნენ და ხევსურ ბავშვებს ასწავლიდნენ. მაშინ ჩვენს სოფელში, ორმოცამდე ბავშვი სწავლობდა. მამა უნიჭიერესი ერთ-ერთი გამორჩეული მოსწავლე ყოფილა ამ თემის სოფლების სკოლაში. ეს ცოლ-ქმარი მამაჩემის თბილისში წასაყვანად სპეციალურად ამოსულა ჩვენსას, წავიყვანთ და დიდი კაცი გამოვაო. პაპას უთქვამს, მერე, საქონელს ვინ მოუვლისო და არ გაუტანებიათ

## „ღიმილით მომყვება თაია"

რაც შეეხება ჩემს პირველ სერიოზულ ლექსს, 17 წლის ასაკში დავწერე, რომელიც ჟურნალ „ცისკარში" დაიბეჭდა. მანამდე, სკოლაში კედლის გაზეთში ვწერდი, რომელსაც „პოეზიის კერა" დავარქვით. ბარისახოს სკოლა-ინტერნატმა ბევრი სახელოვანი პიროვნება გამოზარდა: გაბრიელ ჯაბუშანური, ალუდა, კობა, მინდია, ირაკლი არაბულები, ჯარჯი ფხოველი, ვაჟა ხორნაული და სხვები. ხელისუფლებამ ამ კუთხეს ყურადღება უნდა მიაქციოს, შექმნას სამუშაო ადგილები, რათა ახალგაზრდობას იქ დაბრუნების ინტერესი ჰქონდეს.

რაც შეეხება პირველ ლექსს რომლის სახელწოდებაა „თაია", იმ პერიოდში ძალიან პოპულარული გახდა. მაშინ თაია არავის ერქვა, ახლა კი ბევრს ჰქვია.

„მთაწმინდაზე ჰყვავიან ალუჩები,
ღიმილით მომყვება თაია;
— მაგწონსა, ქალაუ, ქალაქის ქუჩები,
— ძალიან ძალიან კაია...
— აქაურ ვაჟებს შენ ვერ გადურჩები,
— ნუ ამბობ, თუ მიხოლ, გაია...
მთაწმინდაზე ჰყვავიან ალუჩები,
ღიმილით მომყვება თაია".

ჩემს შვილიშვილსაც თაია დაარქვეს. ახლახან, მწერალთა კავშირში პოეტ ალაზა მთისშვილის (შორენა დოლიძე) საღამო ჩატარდა, სადაც ალექსი ჭინჭარაულის ძმისშვილიც იმყოფებოდა. იგი 1971 წელს არის დაბადებული და ჩემი ლექსის პატივცემად დაურქმევიათ მისთვის თაია. სწორედ ამ ღონისძიებაზე გამიმხილა, მამამ თაია რომ დამარქვა, თქვენი ლექსის დამსახურებააო. ძალიან გამიხარდა.

## ყველაფერში პირველი

ჩემს მეუღლესაც, როგორც ჩანს, მოეწონა ჩემი ლექსები და შემიყვარა. იგი ფილოლოგი-გერმანისტი, მთარგმნელი გახლავთ. სტუდქალაქში ცხოვრების პერიოდში გავიცანი. მეუღლე სვანია, გვარად პირველი და გულისსწორი ისე შევარჩიე, რომ გვარითაც პირველი ყოფილიყო. გულიკო რელიგიური წიგნების: „ანდრია პირველწოდებულის დაუჯდომელის", „კვირიკე და ივლიტას დაუჯდომელის", „წმინდა გიორგის სასწაულები ქართველებზე" ავტორია. ასევე, მეცნიერულ დონეზე იკვლევს შუმერებისა და ქართველების ენის სიახლოვეს. დღემდე ერთად ვწევით ცხოვრების ჭაპანს. გვყავს ორი შვილი: ლაშა და დათა. დათას ჰყავს სამი შვილი: თაია, ნიკოლოზი და გიორგი. ლაშამ ახლახან მოიყვანა უკრაინელი მეუღლე და მალე გოგონას ველოდებით

## მთის კანონი

ოცი წლის წინათ პატრიარქმა ხელისუფლებას წინადადებით მიმართა: წელიწადში 5 მილიონი ლარი გამოეყოთ, რათა წელიწადში ორმოცდაათ-ორმოცდაათი ახალგაზრდების ოჯახი ხევსურეთში, ხევში, ყაზბეგში, თუშეთში დაებრუნებინა. ხელისუფლება ახალგაზრდებს სახლებს აუშენებდა და საქონელს შეუძენდა. ეს ახალგაზრდა ოჯახების თავიანთ კუთხეში დაბრუნებაზე იყო გათვლილი. სამწუხაროდ, ეს იდეა ვერ განხორციელდა, თუმცა ამის გაკეთება ახლა შეიძლება. ხევსურეთის ინტელიგენცია ამ იდეის ხორცშესხმას დღესაც მხარს დაუჭერს! ხევსურეთში ახალგაზრდები თუ არ იქნებიან, იქ არც სკოლა იარსებებს. ბავშვი ხევსურეთში უნდა დაიბადოს და მისი სამშობლოც იქ იქნება. თბილისში დაბადებული ბავშვის სამშობლო ხევსურეთი ვერ იქნება. სამშობლო ის არის, სადაც იშვები. ხევსურეთში ბევრი პროგრამა უნდა განხორციელდეს.

„მთის კანონი" მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად მუშავდებოდა, რაც ხელფასებსა და პენსიებზე 20%-იან დანამატს ითვალისწინებდა. როცა ხევსურეთში, მუცოს ჭალაში მესაზღვრე ყინვაში დგას, მას 700 კი არა, 2-3 ათასი ლარი მაინც უნდა ჰქონდეს ხელფასი. 20% კი არ უნდა იყოს დანამატი, არამედ იმ მასწავლებელს, რომელიც ხევსურეთში დაბრუნდება და ბავშვებს ასწავლის და მესაზღვრეს, რომელიც ტერიტორიებს იცავს, ორმაგი ხელფასი მაინც, თუ მეტი არა, უნდა ჰქონდეთ. ევროპაშიც არის „მთის კანონი", რომელიც სახელმწიფოსგან ამგვარ დახმარებას განსაზღვრავს. კარგი იქნება, თუ ანალოგიურ პროექტს აქაც განახორციელებენ და დანერგავენ.

ბოლოს გეტყვით, რომ მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ვცდილობდი, მეცხოვრა ღირსეულად, ჩემი წინაპრებისთვის, მშობლებისთვის, გვარისთვის, კუთხისთვის, სოფლისთვის რაიმე ჩრდილი არ მიმეყენებინა. ეს არის ჩემი იდეა და ცხოვრების კრედო. ვფიქრობ, რომ წინაპრები ზეციური საქართველოდან მიყურებენ და ყოველი უზნეო ქცევა მათ შეურაცხყოფას მიაყენებს. რადგან წინაპრები ვახსენე, გეტყვით, რომ ძველი ხევსურული ტრადიციის თანახმად, იქ ქეიფს ვერ დაიწყებდი, სანამ პირველი წასულების შესანდობარი არ ითქმებოდა. ამის სპეციალური ლოცვა არსებობდა: თქვენ ხელთა-ნებასამც იქნება ეს სუფრა, ძალიმთაც ნურავინ შემოგეჭრებათო. ეს რიტუალი, როგორც წასულებთან ერთგვარი დამაკავშირებელი, ახლაც არსებობს.

ამ ყველაფერს ძალიან ვუფრთხილდები. მგონია, რომ ყოველთვის მათი კონტროლის ქვეშ ვიმყოფები. ეს არის ჩემი ცხოვრების მთელი კრედო — ვიფიქრო წასულებზე და ამის მიხედვით განვსაზღვრო მომავალი...

*თამარ შეყილაძე*





# შენ დაიბადე 26 მაისს!

## ლადო ანდრონიკაშვილის ხსოვნას



* * *

შენ სულ სხვა იყავ, სხვა გზით მოხვედი
დიდებული და კაცი რჩეული!
ახლობლებსა და მეგობრებს შორის
გარეგნობითაც გამორჩეული.
შენ ჰიპოკრატეს ფიცით მოხვედი!
რამდენი ღამე თეთრად ათიე,
რამდენ პატარას აჩუქე დღენი,
რამდენი დედა გადაარჩინე!
თითქმის ფეხით მოიარე
საქართველოს მთა-ბარი,
სად არ იყავ, სად არ მისწვდა
შენი ნაამაგარი!
შენ პირველი ახარებდი
მშობელს შვილის გაჩენას
და დასძენდი: — გიხაროდეთ,
გოგოა თუ ბიჭია,
ხომ ქართული გენის არის,
ხომ ქართული ნიჭია!
მშვენიერ ასულთ და მათ ვაჟკაცებს,
ღმერთმა უბოძა ძლიერი გენი,
გაანათლა და გულით დალოცა,
აბა, საიდან, ამდენი ბრძენი?!
უერთგულესი შენი მეუღლე,
კრძალვით იხსენებს, რაც იყო გუშინ
და ჩვენ არ ვიცით, ლამაზი ქალი
რა მონატრებას ატარებს გულში.
შენს მოდგმას ამკობს პატიოსნება,
ნიჭიერების ადგას ნათელი!
მე, შენს საფლავზე მუხლმოდრეკილმა,
მინდა, დაგინთო წმინდა სანთელი.
და ერთხელ კიდევ, დაბადების დღეს,
ვნახავ შენს ქუჩას, საყვარელ ალაგს,
დავესესხები მეგობარ პოეტს -
ბატონო ლადო, დააკლდი ქალაქს!

ლილი კალანდარიშვილი,
ტელეჟურნალისტი

№19 (752) 29.V. 2024 წ.

# „აბრეშუმის დიდი გზა“



ჩინეთმა საქართველოს გავლით ევროპაში ტვირთების გადაზიდვა დაიწყოო და ნაცვლად იმისა, რომ შენი ქვეყნის ეკონომიკური (არა მხოლოდ) წინსვლა გაგიხარდეს, — საქილიკოდ გახადო, დიდი ამბავი, რაღაც სამი სატვირთო ავტომობილი რა სახსენებელიაო და გულს შემოგეყაროს, ეს მხოლოდ უსამშობლო ქვეყნის მავნებლებს შეუძლიათ

ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი ჩინეთის პრეზიდენტის მიწვევით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში რომ იმყოფებოდა, მაშინაც ქილიკობდნენ, თუმცა, როდესაც მთავრობის მეთაურმა გვამცნო, რომ ერთობლივი დეკლარაცია გააფორმეს და სახელმწიფოები შეთანხმდნენ სტრატეგიული პარტნიორობის დონეზე ასწიონ ურთიერთთანამშრომლობა, შეფიქრიანდნენ და მცირე ხანში ქართველი ტაივანელი აგენტიც აღმოგვაჩნდა. ჩინეთი მსოფლიოში სიდიდით მეორე ეკონომიკაა და ცხადია, საქართველოს ინტერესშიც იყო ჩინეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება.

აბრეშუმის დიდი გზა ძვ. წ. II საუკუნეში ორი მიმართულებით გაიჭიმა და ერთი უძველესი მარშრუტით, კასპიის ზღვით უკავშირდებოდა ამიერკავკასიას, გადაკვეთდა საქართველოს და ფაზისიდან შავი ზღვით ბიზანტიასა და რომს აღწევდა. აბრეშუმის დიდმა გზამ მნიშვნელობა XVII საუკუნის მიწურულში დაკარგა, როდესაც ევროპელებმა საოკეანო გზა აითვისეს.

ჩინეთმა წლების განმავლობაში ტრილიონობით დოლარი დახარჯა „სარტყლისა და გზის“ ამბიციური ინიციატივის სრულყოფისათვის. ეს ტრანსკონტინენტური ქსელი ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედია რომელიც ძველთაძველ „აბრეშუმის დიდ გზას“ ჰგავს.

ევროპისა და ჩინეთს შორის ვაჭრობის ძირითადი სახმელეთო ხაზი რუსეთის ფედერაციაზე გადის და მისი გამწევი ძალა რკინიგზაა. ამ მარშრუტს „ჩრდილოეთის დერეფანს“, ან „ჩრდილოეთის მარშრუტს“ უწოდებენ. ამ მარშრუტით ჩინეთიდან ტვირთი ყაზახეთში გადაიზიდებოდა, იქიდან რუსეთში, რუსეთიდან კი ბელარუსის გავლით ევროკავშირში. გადაზიდვების ნაწილი ხორციელდებოდა პირდაპირ ჩინეთსა და რუსეთს შორისაც მონღოლეთის გავლით

ჩრდილოეთის მიმართულების პარალელურად, ჩინეთი, თურქეთი, ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნების უმეტესობა დიდხანს ცდილობდნენ, გაეძლიერებინათ ალტერნატიული მარშრუტი „შუა დერეფანი“. ჩინეთისთვის ეს ხელსაყრელია, რადგან ევროპასთან სავაჭრო გზებს ამრავალფეროვნებს და, ამასთანავე, ცენტრალურ აზიაში რუსეთის ინტერესებს უწევს კონკურენციას. თურქეთს საკუთარი ინტერესები აქვს თურქულენოვან ცენტრალურ აზიაში. შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის კი ეს არის გზა, რომელიც ამლიერებს მათ სატრანზიტო ფუნქციებს და, ამავდროულად, გვერდს უვლის მიზეზთა გამო არასანდო ირანსა და რუსეთს.

„შუა დერეფანი“, იგივე „ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო გზა“ გვერდს უვლის „ჩრდილოეთის (რუსულ) დერეფანსაც“ და ტრადიციულ საზღვაო მარშრუტსაც ინდოეთის ოკეანეში და არაფრით სახარბიელო ირანსაც. მარშრუტი ასეთია: ჩინეთ-ყაზახეთის საზღვრის კვეთის შემდეგ, კონტეინერები მატარებლით მიდის კასპიის ზღვის სანაპიროზე, ყაზახეთის საპორტო ქალაქ აქტაუმდე. აქტაუში ტვირთი გადაინაცვლებს ბარჟაზე და წავა ბაქოს მიმართულებით. ბაქოდან კვლავ რკინიგზით, საქართველოს ტერიტორიის გავლით მიემართება ფოთის პორტისკენ, ფოთის პორტიდან კი ზღვით მიემართება რუმინეთში, კონსტანცას პორტში, იქიდან კი ნაწილდება ევროპის სხვადასხვა დედაქალაქში. ტვირთის ნაწილი ბაქოდან თბილისის გავლით სარკინიგზო გზით მიემართება ყარსისკენ.

ახალი დერეფნის შამართ ქვეყნების ინტერესის მიუხედავად, წლების განმავლობაში მისი გამოყენებით ტვირთების გადაზიდვის წილი ჩინეთ-ევროკავშირს შორის უმნიშვნელო იყო ტრანსპორტირების დროის ხანგრძლივობისა და სიძვირის გამო. დაინტერესებულ მხარეებს თითქოს რაღაც ბორკავდათ, მხოლოდ 2014 წელს გაიხსნა ტრანსყაზახეთის რკინიგზა, ხოლო ბაქო-თბილისი-ყარსის გზა 2017 წელს. „შუა დერეფნის“ სრული გზა მხოლოდ 2019 წელს გაიარა პირველმა მატარებელმა.

„შუა დერეფნის“ მნიშვნელოვნად გაძლიერების შანსი 2022 წელს გაჩნდა, როდესაც უკრაინაში შეჭრის გამო დასავლეთმა სანქციები დაუწესა რუსეთის ფედერაციას. ფაქტობრივად, რუსეთ-უკრაინის ომმა ჩინეთ-ევროპის დამაკავშირებელი ალტერნატიული გზა — „შუა დერეფანი“ გააცოცხლა, რომელიც შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის გავლით მიემართება ევროპისკენ და საქართველო ამ ჯაჭვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია. „შუა დერეფნის“ გამოყენება 2022 წლიდან დაიწყეს წამყვანმა დანიურმა, ავსტრიულმა ფინურმა, გერმანულმა და ნიდერლანდურმა გადამზიდავმა კომპანიებმა. შედეგად, წინა წელთან გადაზიდული ტვირთის მოცულობა 6-ჯერ გაიზარდა.

„შუა დერეფანს“ სკეპტიკურად უყურებს მსოფლიო ბანკი გამოქვეყნებული დოკუმენტით, რომლის სათაურია „უკრაინაში ომის გავლენა გლობალურ ვაჭრობასა და ინვესტიციებზე“. ავტორების აზრით, ნაკლებად სავარაუდოა, „შუა დერეფანმა“ მოახერხოს არსებული სარკინიგზო გზის მთლიანად ჩანაცვლება. მიუხედავად სკეპტიკოსების მოსაზრებისა, „შუა დერეფანზე“ ტვირთების გაზრდილი დინამიკა დამაიმედებელია „შუა დერეფანში“ მონაწილე ქვეყნებისთვის, რადგან იგი მნიშვნელოვანია როგორც თურქეთ-ჩინეთისთვის, ისე ჯაჭვის შემადგენელი დანარჩენი ქვეყნებისთვის.

2022 წლის ნოემბერში, ყაზახეთის ქალაქ აქტაუში გაიმართა ყაზახეთის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის საგარეო და ტრანსპორტის მინისტრების შეხვედრა, სადაც მხარეებმა ხელი მოაწერეს საგზაო რუკას 2022-2027 წლებში „შუა დერეფნის“ განვითარებისა და „ვიწრო“ მონაკვეთების შეთანხმებულად აღმოსაფხვრელად.

2023 წლის იანვარში, როდესაც დავოსში ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში დისკუსიაში მიიღო მონაწილეობა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მან აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან ერთად, ხაზი გაუსვა „შუა დერეფნის“ მნიშვნელობას და დასძინა, რომ საქართველო დიდ კაპიტალდაბანდებას ახდენს ინფრასტრუქტურაში.

იმავე წლის აპრილში, როდესაც პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა პრემიერი ღარიბაშვილი მიიწვია აზერბაიჯანში, ბატონმა ალიევმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველო და აზერბაიჯანი წარმატებით მუშაობდნენ „შუა დერეფნის“ იმპლემენტაციაზე.

აშშ-ის მთავრობა საქართველოს ანაკლიის პორტის აშენებისკენ მოუწოდებდა, როდესაც აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო საქართველოში ჩამოვიდა, „საქართველოს ვითომ მეგობრები“ უწოდა ჩინეთსა და რუსეთს, შემდეგ კი დასძინა, რომ ანაკლიის პორტი დაიცავდა საქართველოს ამ ორი ქვეყნის მტაცებლური ეკონომიკური გავლენებისგან. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“, ქართულ-ამერიკული წამოწყება, რომელსაც ანაკლიის პორტი უნდა აეშენებინა, სახელმწიფომ ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან პროექტს ჩამოაშორა, რის გამოც კონსორციუმი ედავებოდა საარბიტრაჟო სასამართლოში სახელმწიფოს.

გული გულობდეს, თორემ „დერეფნის“ საქართველოს მონაკვეთზე ჩქაროსნული საავტომობილო მაგისტრალიც ფაქტობრივ მზადყოფნაშია და რკინიგზაც. რაც შეეხება პორტებს, დავოსში, ეკონომიკურ ფორუმზე მიწვეულმა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა, რომ ფოთის პორტს 550 ათასი ტონა ტვირთი შეუძლია გაატაროს, ბათუმის პორტს — 20 000 ტონა ტვირთი. თუმცა აღნიშნა, რომ ეს გამტარუნარიანობა საკმარისი არ არის.

ყაზახეთმა და ჩინეთმა კურიკის ყაზახური პორტიდან ბაქოში და ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტით ევროპაში ტვირთის სატრანზიტო ავტოგადაზიდვა სატესტო რეჟიმში დაიწყეს. აქტაუში ყაზახეთ-ჩინეთის საგზაო ტრანსპორტის ერთობლივი კომისიის სხდომა გაიმართა, რომლის ფარგლებშიც პირველად მოხდა, რომ კურიკისა და ბაქოს საზღვაო პორტების გავლით ტვირთის საცდელი სატრანზიტო ავტოტრანსპორტირება ჩინეთი-ყაზახეთი-აზერბაიჯანი-საქართველოს მარშრუტით დაიწყო. სამი 80-ტონიანი ჩინური სატვირთო ავტომობილი ჩინეთის სინცზიან-უიღურის ავტონომიური რაიონის ქალაქ ურუმჩიდან გამოვიდა და ბაქოს პორტის გავლით საქართველოსკენ გამოემართა. ყაზახეთის მხარის ცნობით, ჩინეთიდან დასავლეთის ქვეყნებს საზღვაო გზით ასობით მილიონი ტონა ტვირთი 52 დღის, ხოლო მცირე მოცულობის ტვირთი რკინიგზით 22 დღის განმავლობაში მიეწოდება. რაც შეეხება საავტომობილო ტრანსპორტს, „შუა დერეფნის“ გამოყენებით ავტოტრანსპორტირების დროს 12 დღემდე ამცირებს, რა დროსაც ტვირთის მიწოდება „კარდაკარ“, შუალედური დატვირთვა/გადმოტვირთვის გარეშე ხდება.

გარდა ამისა, ყაზახეთის მთავრობის ინფორმაციით, ყაზახეთისა და ჩინეთის სატრანსპორტო დეპარტამენტებმა განიხილეს ნებართვების ფორმების დამატებითი გაცვლის საკითხები 2024-2025 წლებში. ნებართვის ფორმების რაოდენობა 2024 წლისთვის 120 000 ერთეულია, მომავალ წელს კი იგეგმება ამ პროცესის დიგიტალიზაცია და ელექტრონულ სანებართვო ფორმებზე გადასვლა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ სანებართვო ფორმები შეუზღუდავი რაოდენობით გაიცემა.

ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო!..

*მაია ჭელიძე*







ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო გლობალურ სატრანსპორტო საკომუნიკაციო ქსელში ადგილს მყარად იმკვიდრებს

გვესაუბრება ეკონომისტი **სოსო არჩვაძე:**

**— ბატონო სოსო, ისტორიაში პირველად, საქართველოს გავლით ჩინური სატვირთო ავტომობილების ტრანზიტი განხორციელდა. რა მნიშვნელობა აქვს ამას ჩვენი ეკონომიკისთვის?**

— ეს ფაქტი ადასტურებს, რომ საქართველოს სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ფუნქცია მზარდია. ჩვენი ქვეყანა დიდი სახელმწიფოებისა და სახელმწიფოთა გაერთიანებების — ერთი მხრივ, ჩინეთისა და მეორე მხრივ, ევროკავშირის, ლოჯისტიკური მიწოდების სქემებში აქტიურად ეწერება. ახლახან, ჩინეთმა ე. წ. აბრეშუმის გზის მარშუტის ბოლო ვერსია გამოაქვეყნა, რომელიც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე ცენტრალურ აზიაში, შემდეგ კასპიის ზღვით აზერბაიჯანსა და საქართველოზე გადის. ანუ, ევროპისკენ ორი მიმართულებით მიემართება — ერთი თურქეთის, მეორე კი — შავი ზღვის აკვატორიის გავლით. ეს ნიშნავს, რომ საქართველომ გლობალურ სატრანსპორტო საკომუნიკაციო ქსელში ადგილი მყარად დაიმკვიდრა. თანდათანობით საქონლის რეექსპორტიდან აქცენტი მომსახურების ექსპორტზე გადავა, რაც გაცილებით სწრაფად რეალიზებადი იქნება. ასევე, ეს ნაკლებ კაპიტალდაბანდებას საჭიროებს და შედარებით უფრო სწრაფი უკუგებით გამოირჩევა. ასე რომ, ჩინური ტრანზიტის საქართველოზე გავლა პირველი ნაბიჯია, რომელიც შემდგომ უფრო შთამბეჭდავი და მასშტაბური იქნება.

**— ამის მიღწევას, ალბათ, საკმაოდ დიდი ლოჯისტიკური სამუშაოს შესრულება დასჭირდა?**

— საქართველოში საგზაო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია ავტობანების მსოფლიო სტანდარტების დონესთან შესაბამისობაში მოყვანა, გზების დაქსელვა აქტიურად ხდება, რაც ერთ-ერთი გამოხატულებაა იმისა, რომ ქართული სახელმწიფო არა მარტო საკუთარი მოსახლეობის უფრო კომფორტულ და ეკონომიკურ გადაადგილებას უწყობს ხელს, არამედ საერთაშორისო სატრანსპორტო ფუნქციასაც. დროს მეტი ფასი დაედო. ჩვენ დროის ეკონომიის ხარჯზე შეგვიძლია საზოგადოებისთვის სხვა სასარგებლო და შედეგიანი საქმიანობით დავკავდეთ.

**— ეს ტრანზიტი რამდენად არის აშშ-ის ინტერესში. მას აწყობს აქ ჩინეთის მომძლავრება?**

— საქართველოს ხელისუფლებას ასეთი ალგორითმი აქვს: მიზანი არის არა ვინმეს საწინააღმდეგო ქმედება, არამედ საქართველოს სასარგებლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა. ანუ, ჩვენ საქართველოს ინტერესებს უნდა ვემსახუროთ. დიდმა სახელმწიფოებმა, სჯობს, ერთმანეთთან ურთიერთობა დიდ მოედნებზე გაარკვიონ. ჩვენ ყველა სახელმწიფოსთან კეთილმეზობლური ურთიერთსასარგებლო კავშირი უნდა დავამყაროთ. ყველასთან, იქნება ეს ჩინეთი, ევროკავშირი თუ აშშ. სწორედ ამ პრინციპით ვხელმძღვანელობთ.

**— რა ზიანი მიადგება ეკონომიკას ფინანსური სანქციების დაწესების შემთხვევაში?**

— მსოფლიო ცივილიზაცია განვითარდა და პროგრესს იმის საფუძველზე მიაღწია, რომ ვაჭრობა, ეკონომიკური ურთიერთობები წინ წავიდა და სახელმწიფოებმა ერთმანეთთან ურთიერთსასარგებლო კავშირები დაამყარეს. ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც ვაჭრობას, ეკონომიკურ ურთიერთობებს შეზღუდავს, ორივე მხარეს დააზარალებს — რეციპიენტსაც და დონორსაც.

იმ ქვეყნების განვითარების ტემპი, რომლებიც სანქციების ქვეშ ცხოვრობენ, შედარებით მოკრძალებულია. რაც შეეხება აშშ-ს, ბოლო დრომდე მასთან ვაჭრობა აღმავლობის გზით მიდის. ჩვენს საგარეო სავაჭრო ბრუნვას თუ გადავხედავთ, ბოლო პერიოდში აქცენტი ევროკავშირსა და რუსეთზე კეთდება, მაგრამ, ამის გარდა, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები კიდევ დიდ სამეულთან — თურქეთთან, ჩინეთთან და აშშ-სთან აქვს. ამ ქვეყნებთან ჩვენს საგარეო სავაჭრო ბრუნვა აღმავლობის სტადიაშია და 30% უჭირავს. ანუ, ეს ქვეყნები ჩვენს სავაჭრო ბრუნვაში საკმაოდ სოლიდურად მონაწილეობენ. ეს რას ნიშნავს? — როცა ამერიკული საქონელი საქართველოში რეალიზდება, ამერიკული კომპანიები, იურიდიული პირები, ბიზნესი მოგებას იღებს. ვაჭრობაში მთავარი პრინციპი კომერციული სარგებელი, მოგებაა. თუ ვაჭრობა შეიზღუდა და ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი გაღრმავება არ მოხდა, ნებისმიერი მხარე იზარალებს, რაც ოკეანის გაღმაც კარგად იციან.

**— როგორც ამბობენ, ჩვენი ეკონომიკის 80% დასავლურ ეკონომიკაზე დგას. გამოითქმის შიშები, თითქოს ევროპული კაპიტალი შეიძლება, საეჭვო კაპიტალმა ჩაანაცვლოს.**

— საეჭვო წარმომავლობის კაპიტალი აბსოლუტურად ყველა ქვეყანაშია, მათ შორის, აშშ-შიც. სწორედ იქ დაიბადა ხატოვანი გამოთქმა: ნუ მკითხავ, საიდან ვიშოვე ჩემი პირველი მილიონი დოლარიო. ასე რომ, საეჭვო კაპიტალის წარმომავლობას აშშ-ში უფრო მდიდარი ისტორია აქვს. გავიხსენოთ, „მშრალი კანონი“, როდესაც ამერიკის კონტინენტზე კონტრაბანდული სასმელი შეჰქონდათ. კონტრაბანდის შემომტანის შვილებმა, 20-25 წლის შემდეგ განათლება მიიღეს და სამსახურები იშოვეს. მათ არ სჭირდებოდათ მამის მიერ ჩადენილი მაფიოზური გზის გაგრძელება, ხოლო მესამე თაობამ უკვე ინტელექტუალურ ელიტაში იჩინა თავი. ანუ ფაქტობრივად, მსოფლმხედველობრივად სრულიად საპირისპირო პოლუსი დაიკავეს. ამან ამერიკელი ერის მსოფლმხედველობრივი პოზიციის ფორმირებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო. ამიტომ საეჭვო წარმოების კაპიტალი არცერთი ქვეყნისთვის უცხო არ არის, უბრალოდ, კანონმდებლობა იბრძვის მის წინააღმდეგ.

**— რა ნიშნულზეა ამ ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და არსებული ვითარება ამ პროცესს ხომ არ შეანელებს?**

— საკმაოდ მაღალი ეკონომიკური ზრდა გვაქვს, რაც საერთაშორისო ფინანსური და ეკონომიკური ინსტიტუტების მიერ გაკეთებულ პროგნოზებს აღემატება. მათი გათვლებით, საქართველოზე 5,5%-იანი ეკონომიკური ზრდა აქვს. რეალურად, ზრდა 7%-ზე უფრო მაღალია. თანაც, გავითვალისწინოთ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, საქართველო იმ მოწინავე ქვეყნების რიცხვში შედის, რომელთაც 2029-30 წლებამდე, მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მთლიანი სამომავლო პროდუქტის მოცულობით ყველაზე მაღალი ზრდა ექნებათ. გავითვალისწინოთ კიდევ ერთი მომენტი: ეკონომიკა ისევე, როგორც ბევრი სხვა პროცესი, საზოგადოებრივ მოლოდინებს, განწყობას და შესაბამისი ქცევის მოდელს ექვემდებარება. ამიტომ, ჩვენ თუ საკუთარი ქვეყნის მომავლისა და მისი ეკონომიკის ზრდის მიმართ პესიმისტურად, ნეგატიურად განვეწყობით, ამის მოხდენის ალბათობა მართლაც გაიზრდება. მაგრამ თუ ჩვენ ოპტიმისტურად შევხედავთ ჩვენს მდგომარეობას იმ პოზიტიურ მოვლენებს გავითვალისწინებთ, რაც ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკას, ხელისუფლებას, ბიზნესს დაუგროვდა, მაშინ რთულ ვითარებას ადვილად დავძლევთ და გაცილებით წარმატებული ვიქნებით როგორც სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის, ისე ეკონომიკური ზრდის ასპექტშიც.

**— ბატონო სოსო, მოქალაქეები სამუშაოს საძებნელად ქვეყნიდან მასიურად გაედინებიან. უმუშევრობის დონის თვალსაზრისით, როგორია დინამიკა?**

— უმუშევრობის დონე სტატისტიკის სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, ბოლო ერთ წელიწადში ოთხი პუნქტით შემცირდა. ამჟამად მხოლოდ 14%-ულ პუნქტს შეადგენს, რაც ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. თანაც, უმუშევრობის დონის განსხვავება ქალაქსა და სოფელში, ერთ პროცენტზე ნაკლებია. ანუ, ჩვენთან უმუშევრობამ ის სექტორალური და დარგობრივი განსხვავება, რაც წლების მანძილზე იყო, დაძლია. საქართველოში შრომის ანაზღაურება საკმაოდ გაიზარდა. ახლახან სტატისტიკის სამსახურმა გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, შინამეურნეობათა შემოსავლები ერთ წელიწადში, დაახლოებით, 18%-ით გაიზარდა. ამ დროს ინფლაცია მხოლოდ 2,5% იყო. ანუ, მოსახლეობის რეალური შემოსავლები და ხარჯები ერთ წელიწადში, დაახლოებით, 15%-ით გაიზარდა. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

**— ზრდა რის ხარჯზე მოხდა?**

— საქმე ის არის, რომ სტატისტიკური მონაცემებით, ერთ წელიწადში დასაქმებულთა რაოდენობა 130 ათასით გაიზარდა. აქედან, მხოლოდ დაქირავებულთა სექტორული რაოდენობამ 92 ათასით მოიმატა. ეს ნიშნავს, რომ თითქმის ასი ათასამდე ადამიანი ანაზღაურებას ხელფასის სახით იღებს. თან სტატისტიკის მიხედვით, თანხა 1700 ლარზე მეტს შეადგენს. შედეგად, მოსახელობას საშუალება აქვს, მეტი პროდუქტი შეიძინოს. ჩვენი ტურისტების უცხოეთში ვიზიტის ოდენობა იზრდება და იქ თანხასაც მეტს ხარჯავენ. ჩვენმა მოქალაქეებმა ქვეყნის გარეთ ტურისტული ხარჯები გაზარდეს.

**— დასავლეთი ვიზალიბერალიზაციის და ფულადი დახმარების შეჩერებით გვემუქრება. ეს რას გამოიწვევს?**

— ნებისმიერი შეზღუდვა ნეგატიურ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე და მის სუბიექტებზე. იმედია, ეს არ მოხდება. უნდა ვიზრუნოთ, რომ საქართველოს ჰქონდეს თანაბარი, თანასწორი მეგობრული ურთიერთობები იმ ქვეყნებთან, სადაც ჩვენი მოქალაქეები ხშირად ჩადიან მოგზაურობის თუ შრომითი ურთიერთობის დასამყარებლად.

**— როგორ აფასებთ კანონს ოფშორებიდან ფულის გადმოტანის შესახებ?**

— აქ ორგვარი მიდგომაა: პირველი, ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური იმიჯის დაცვას ცდილობენ და მეორე, უფრო პრაგმატული დამოკიდებულებაა, რომ საქართველოში შეიძლება მოხდეს თანხების რეპატრიაცია იმ სუბიექტების მიერ, რომლებიც თავის დროზე დარეგისტრირებული იყვნენ იმ ოფშორულ ზონებში, რომლებიც ეკონომიკურ მიმზიდველობას და სარგებლიანობას თანდათან კარგავენ. სხვათა შორის, ყაზახეთმა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, უცხოეთში გატანილი კაპიტალის რეპატრიაცია რამდენჯერმე განახორციელა. ეს უფრო რადიკალური ნაბიჯია, ვიდრე ოფშორებიდან საქართველოში თანხების გადმოტანა. ამიტომ აღნიშნულ ნაბიჯს ბევრი ქვეყანა მიმართავს იმისთვის, რომ თავისი ქვეყნის ეკონომიკის ზრდაში კაპიტალის მონაწილეობა შეავსოს, გაზარდოს.Fფულს მულტიპლიკატორული ეფექტი აქვს — რაც უფრო მეტი თანხა მოძრაობს ქვეყანაში, მით მეტი სამუშაო ადგილი იქმნება, მით მაღალია ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობა, დასაქმების მასშტაბები და ქვეყანა უფრო დინამიკურად ვითარდება.

**თამარ შველიძე**

№19 (752) 29.V.2024 წ.

# ნაპოლეონ მესხია – მედროვეთა შემოტევებს ღირსეულად შეჭიდებული ბერმუხა



„კონცეპტუალური ინოვაციური მიდგომა და მეთოდები ნეიროქირურგიაში“ – ასე ჰქვია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნაპოლეონ (ნაპო) მესხიას ახალ წიგნს, რომლის პრეზენტაციაც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ჯანდაცვის სამინისტროს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და საქართველოს ნეიროქირურგთა ასოციაციის ინიციატივით გაიმართა.

წიგნში ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული რჩეული სტატიები და სამეცნიერო შრომებია თავმოყრილი. ამ გამოცემის საშუალებით, დარგის სპეციალისტებს ეძლევათ შესაძლებლობა, ნაპოლეონ მესხიას ვირტუალური საოპერაციო ხელწერა და მისი ფასდაუდებელი გამოცდილება გაიზიარონ.

ცნობილი ნეიროქირურგი, ნეიროქირურგიული ცენტრის დამფუძნებელი, ნეიროქირურგიული ჩარევისა და მკურნალობის არაერთი ახალი მეთოდის, ასევე, 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და ათეული პუბლიკაციის ავტორი აფხაზეთის შვილია. გასული საუკუნის 90-იან წლებში იგი აფხაზეთში დატრიალებულმა მოვლენებმა და სახელმწიფოს ერთიანობის რღვევისკენ მიმართულმა საბედისწერო დაპირისპირებამ საყვარელ საქმეს მოსწყვიტა და სხვადასხვა პოზიციაზე მდგომი მხარეების ჭიდილში ჩართო. მაღალი ავტორიტეტისა და დამსახურებული სიყვარულის წყალობით, ნაპოლეონ მესხიამ არაერთ სამშვიდობო მოლაპარაკებაზე დაიყოლია აფხაზური მხარე. აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე 2004-2009 წლებში, ნაპო მესხია, ერთ-ერთია იმ ადამიანთა შორის, ვინც სიღრმისეულად იცნობს აფხაზეთის პრობლემებს და უშუალოდ მონაწილეობდა ქართულ-აფხაზური საკითხის მოგვარებაში. მისი ავტორობით გამოიცა წიგნები: „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ და „ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“.

ნაპოლეონ მესხიას პროფესიული კვლევის შედეგები და გამოსაქვეყნებელი მეცნიერული ნაშრომები, რომლებიც მეცნიერმა სოხუმში მის მიერვე დაარსებულ ნეიროქირურგიულ ცენტრში შექმნა, აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს ცეცხლმა შთანთქა და სრულიად გაანადგურა.

ნაპოლეონ მესხია, როგორც მაღალი რანგის პროფესიონალი ქირურგი, მსოფლიოში ცნობილ ნ. ბურდენკოს სახელობის ნეიროქირურგიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა. სამშობლოში დაბრუნებულმა თანამედროვე ნეიროქირურგიის ცენტრი შექმნა და ახალგაზრდა სპეციალისტების პლეადაც აღზარდა.

„აფხაზეთის ნამდვილი პატრიოტი, ბატონი ნაპო, ჩემი უფროსი მეგობარია, – აღნიშნავს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ამირან გამყრელიძე**, – მეამაყება, რომ საქართველოში არსებობს ასეთი ღვაწლმოსილი პროფესიონალი, რომლის სახელს მრავალი განსაკუთრებული ფაქტი უკავშირდება. ფასდაუდებელია ბატონი ნაპოს წვლილი აფხაზეთის სამედიცინო სამსახურის განვითარებაში. სწორედ მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა სოხუმში დასავლეთ საქართველოს ნეიროქირურგიული ცენტრი, რომელსაც წამყვანი როლი ჰქონდა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. მუდმივად ინოვაციებზე ორიენტირებული პროფესორი ნაპო მესხია ოპერაციული მკურნალობის მრავალი






ახალი და უკვე საყოველთაოდ აღიარებული მეთოდის ავტორი და სულისჩამდგმელია“.

„ვფიქრობ, ეს წიგნი კეთილგონიერი მეცნიერის მიერ გამიზნული უძვირფასესი საჩუქარია მომავალი თაობისათვის, რომელიც ამას აუცილებლად დააფასებს, – აღნიშნავს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი **ზურაბ ხონელიძე**, – ნაპოლეონ მესხიას მიერ განვლილი ცხოვრების გზა და მოღვაწეობა, ნებისმიერ სფეროსა თუ დარგში, თავდაუზოგავი შრომის, ქვეყნის მსახურების, სიმამაცის, წარმატების ნიმუშია და ეს წიგნი გზამკვლევად დარჩება მომავალ თაობებს.

მე კარგად ვიცნობ მის მონოგრაფიებს აფხაზეთის პრობლემატიკაზე – სიმართლე, კაცთმოყვარეობა, პრაგმატულობა, შინაგანი სიმტკიცე გამოსჭვივის მისი ნაწერებიდან. ბევრი მტერი გაიჩინა ამის გამო და ბევრი ტკივილიც იგემა, მაგრამ ცხოვრებისეულ ამაოებაში გამოწრთობილი, როგორც ბერმუხა, ღირსეულად უმკლავდება მედროვეთა შემოტევებს,“– აღნიშნავს ზურაბ ხონელიძე.

ნაპოლეონ მესხიამ ჯერ კიდევ სოხუმში, ნეიროქირურგიის ინსტიტუტში მუშაობის დროს, ოპერაციის შემდგომი გართულებების პრევენციის მიზნით, კრანიოტომიის ახალი მეთოდის შემუშავება დაიწყო, რომელიც ოპერაციის შემდგომ თავის ქალის ღრუს ჰერმეტულ დახურვას ითვალისწინებს. მანვე შეიმუშავა კონცეპტუალურად ახალი, ინოვაციური მიდგომა თავის ქალის გახსნის მეთოდიკაზე. მისი მიდგომებით, დაზიანებული თავის ქალის ფრაგმენტი კანქვეშ იმალება, ოპერაციის დასრულების შემდეგ კი პირვანდელ ადგილს უბრუნდება, რაც თავის ქალაში უცხო სხეულის (რითაც, სხვა შემთხვევაში, თავის ქალას „კერავენ“) მოხვედრას გამორიცხავს და არც განმეორებით ოპერაციას საჭიროებს. შესაბამისად, ლეტალობაც საგრძნობლად მცირდება. თუმცა, მრავალი წელი დასჭირდა პროფესორს იმისათვის, რომ მსოფლიოს ტრავმატოლოგიურ ნეიროქირურგიას მისი მეთოდოლოგია ეღიარებინა. ამის შესახებ დუმდნენ როგორც ქართული, ასევე რუსული და ევროპულ-ამერიკული ნეიროქირურგიული სკოლები. მოგვიანებით კი მათ მაინც აღიარეს ქართველი პროფესორის მეთოდიკა, რითაც, ფაქტობრივად, საკუთარ იდეაში ეჭვი შეიტანეს.

„ერთხელ, მეგობართა წრეში მისი ნაშრომების გასაჯაროებაზე ჩამოვარდა საუბარი, – იხსენებს მწერალი **გური ოტობაია**, – მაშინ ნაპოს უკვე ხელი ჰქონდა ჩაქნეული პროფესიული შრომების გამოყენებაზე... თუმცა, თავისი გასაოცარი მეხსიერების წყალობით და მეგობრების შეგულიანებით, მან თავისი პრაქტიკიდან რამდენიმე უნიკალური ოპერაციული



ჩარევის სიახლეები აღადგინა. შემდგომ ისინი ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი ფარულავასა და მისი დოქტორანტის, გიორგი გაბადაძის ხელშეწყობით, ჟურნალ „ამერიკაში“, მოგვიანებით კი ევროპული ქვეყნების ჟურნალებშიც გამოქვეყნდა.

მისგანვე ვიცი, რომ 20 ათასამდე ნეიროქირურგიული ოპერაცია აქვს ჩატარებული ექსტრემალურ თუ მაღალტექნოლოგიურ პირობებში და ყოველთვის განსაკუთრებული იყო მისი დამოკიდებულება პაციენტთან. მისი ხელწერა ყოველთვის ვირტუოზული გახლდათ და შედეგებსაც ამის კვალობაზე იმკიდა“.

„არიან ადამიანები, რომლებიც თავდადებული შრომით ქვეყანას დიდსა და სასარგებლო საქმეს უკეთებენ, მათ ყოველდღიურად სახელი მოქვთ სამშობლოსათვის და თავადაც სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულნები არიან. ამასთან, ისინი მოკრძალებულად, თავმდაბლურად ცხოვრობენ. ერთ-ერთ ასეთ პიროვნებად მიმაჩნია გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ნეიროქირურგი, უზადო მკურნალი ნაპოლეონ მესხია,“ – ასე ახასიათებს მხცოვან მეცნიერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი **როინ მეტრეველი**.

„საოცარი და იდუმალებით მოცულია ადამიანის ეს ურთულესი და უზენაეს სრულყოფილებამდე დახვეწილი ორგანო. ტვინის მკვრივი, ხვეულებად დანაოჭებული ქსოვილი და მისი გარსები შეუდარებელი წესრიგითაა ჩალაგებული ადამიანის თავის ქალაში... უსაზღვროა მისი შესაძლებლობები... ყოველთვის მაოცებდა ადამიანის ტვინის მოქმედებებისა და შეგრძნებების უკიდეგანო სამყარო, დღენიადაგ ვეძებდი და ვცდილობდი, მეპოვა ახსნა, საიდან მოდის ეს უსაზღვრო შესაძლებლობა და სად მიდის, მერე რა ხდება?! მე, ვისაც ყველა სახით და ფორმით მინახავს თავის ქალა და მასში მოქცეული „ყოვლის შემოქმედი“, ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს,“ – წერს თავის წიგნში ნაპოლეონ მესხია.

ადამიანის შესაძლებლობების „მთავარი კონსტრუქტორის“ (როგორც „ტვინს“ თავად მოიხსენიებს) ვირტუოზ დასტაქარს, მძიმე და ეკლიანი ცხოვრება აქვს გავლილი. ბავშვობაში ნაადრევად დაობლებულს, ახლა თავისი ორი ვაჟის საფლავი ენატრება, მშობლიურ აფხაზეთში რომ დარჩა:

„ამ კრებულზე მუშაობამ ვალის მოხდის ერთგვარი სიმშვიდე შემმატა. ტრაგედიათა შორის, რაც გამოვიარე, ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული ის არის, რომ უგუნურობამ, ორსახა ადამიანების სიხარბემ და გაუტანლობამ, 30 წელი წაგვართვა. აფხაზეთში დატრიალებულმა მოვლენებმა დასაწყისშივე მიწასთან გაასწორა ადამიანების ჯანმრთელობის სამსახურში ჩამდგარი მეცნიერული კვლევებისა და ახალი კადრების დაფრთიანების ის უნიკალური ცენტრი, რასაც თავდაუზოგავი შრომით ვქმნიდი და რასაც, ფაქტობრივად, ყველაფერი ვანაცვალე. სრულიად განადგურდა კვლევის შედეგები, რაც ახალი აზროვნების, მიდგომებისა და პრაქტიკის დაწყების დასასაბუთებლად ფასდაუდებელ მასალებს შეიცავდა. მათი აღდგენა დღეს უკვე შეუძლებელია,“– გულისტკივილით აღნიშნავს 85 წლის მეცნიერი.

როგორც თავად ამბობს, წუთითაც არ ტოვებდა მშობლიურ კუთხეში დაბრუნების იმედი. სწორედ ამ იმედით ხვდებოდა წლების განმავლობაში აფხაზი ხალხის გამორჩეულ წარმომადგენლებს და მათთან ერთად ამზადებდა წინადადებებს, რაც არაერთხელ წარუდგინა საქართველოს პრეზიდენტს, მთავრობას თუ პარლამენტს, თუმცა – ამაოდ! ახლა კი:

„ახლა ვდგავარ ჩემს საფინალო ხაზთან, ვუყურებ მზის ჩასვლას და ვხედავ ჰორიზონტს. ვარ დევნილი საკუთარ ქვეყანაში... ჩემი ცხოვრების ბოლო წლებს მშობლიური მხარისგან შორს ვატარებ. მოკლებული ვარ შესაძლებლობას, ჩამოვჯდე ჩემი ბიჭების საფლავის ქვასთან, ფიქრებში ვესაუბრო მათ, ყური დავუგდო ჩემი სევდის სიჩუმეს... ბევრი რამ მაქვს სათქმელი, მაგრამ ყველაფერს ვერ ვიტყვი. ერთი კი მინდა ვთქვა, რომ ადამიანებო, გახსოვდეთ ისინი, ვინც თქვენ შემდეგ დარჩება და ორიოდე სიტყვის თქმა მოუწევთ თქვენზე. შეინდეთ ისინი და ღირსეულ, სამართლიან ადამიანებს დაუტოვეთ სათქმელი, რადგან ზოგჯერ ცოცხალნი უფრო ცოდონი არიან“...

**ნონა ქარქაშაძე**

„საერთო გაზეთი“ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს ბატონ ნაპოლეონს, და, ახდენოდეს ყველაზე სანუკვარი ოცნება – აფხაზეთში დაბრუნება!

# „ანდერძი“ – ამბავი ერთი დაკარგული მოთხრობის შესახებ

წარსულიდან თუნდაც ერთმა პატარა ეპიზოდმა შესაძლოა, იმ დროს შეგახსენოს თავი, როცა არ ელი. ცხოვრების კანონზომიერებას თურმე ზოგჯერ თავად მოაქვს შენამდე ის, რაც სურს, რომ გითხრას, ან გიკარნახოს.

რამდენიმე დღის წინათ ჩემი სოფლიდან, საირხედან სტუმრად ერთი მეგობარი მეწვია. რა თქმა უნდა, იმერულად გავუმასპინძლდი. საუბრით გული რომ ვიჯერეთ, მკითხა, კიდევ წერ მოთხრობებსო. ხანდახან-მეთქი,ღიმილით ვუპასუხე.

– იცი, – განაგრძო მან, – არასოდეს დამავიწყდება შენი ერთი მოთხრობა „ანდერძი“, რომელიც მაშინ, ჩვენს კლასში, ხელიდან ხელში გადადიოდა და სკოლამ ლიტერატურულ ოლიმპიადაზეც კი გაიტანა. საკვირველია, იმ პატარა ბიჭმა როგორ იწინასწარმეტყველე, რომ მაშინ ჩვენი სოფელი დაიცლებოდა და ჩვენს უბანში თითო-ოროლა ოჯახი დარჩებოდა.



ბავშვობაში ლექსებს და მოთხრობებს ნამდვილად ვწერდი. ჩემი ოჯახის წევრებმა თითქმის ყველა ლექსისა თუ ჩანახატის ამბავი იცოდნენ. დედაჩემის მიერ სპეციალურად ნაჩუქარ ზურგჩანთაში მათ სათუთად ვაგროვებდი და ვინახავდი. ნათლად მახსოვს ბებიაჩემის, კატუშას სიხარულით აცრემლებული თვალები, როდესაც ერთხელ რაიონულ გაზეთში ჩემი ავტორობით დაბეჭდილი პატარა ლექსი წაიკითხა და მერე მთელ სოფელში მაქებდა, ჩემს შვილიშვილს დიდი მომავალი აქვსო.

ჩემი შემოქმედების პირველი გამზიარებელი მაინც ბაბუაჩემის ძმა, ბენია ბაბუა იყო, არც კრიტიკას მოერიდებოდა და არც ქებას. მართალია, განათლებით აგრონომი იყო, მაგრამ ლიტერატურა ძალიან უყვარდა. მეტყოდა ხოლმე, პაპუკო, წიგნი ადამიანის ძალაა და რაც უფრო მეტს წაიკითხავ, უფრო ბედნიერი და ძლიერი იქნებიო. ჰოდა, ამიტომ ჩამაფიქრა იმ მოთხრობის ამბავმაც.

– მახსოვს ასეთი მოთხრობა, მაგრამ, სამწუხაროდ, მე მისი ორიგინალი ტექსტი დავკარგე, რადგან მიწისძვრა ჩვენს რაიონში მალევე მოხდა, სკოლა დაინგრა და როგორც მითხრეს, სხვა დოკუმენტებთან ერთად ისიც განადგურდა. ვნანობ, რომ ვერცერთი ხელნაწერი ვეღარ ვიპოვე,– მობოდიშებით განვაგრძე სტუმართან საუბარი. დაბნეულმა მეგობარმა, თითქოს რაღაც ლექსს ჰყვებაო, ისე შემართებით დაიწყო დაკარგული ნაწარმოებიდან მისთვის საინტერესო დეტალების თხრობა, რომ ერთხანს ვიფიქრე, იქნებ, ის ჩემი ხელნაწერი მასთან არის-მეთქი.

– იყო ერთი მოხუცი, ჰყავდა შვილიშვილი ლაზარე, რომელიც სულ მის გვერდით ტრიალებდა და ოჯახის სხვა წევრებზე მეტად უყვარდა. ლაზარეს მშობლებმა, შვილს განათლება რომ მიეღო, დედაქალაქში მისი წაყვანა გადაწყვიტეს. ბიჭს არ ეთმობოდა ბაბუა, მაგრამ სწავლაც წყუროდა და ამიტომ მშობლებს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია. გამგზავრების წინ, ბაბუამ ლაზარეს წერილი გადასცა და უთხრა, აქ რაც დავწერე, იმას ახლა ვერ გაიგებ, როცა დავაჟკაცდები და წლები მოგემატება, მერე წაიკითხე და მიხვდებიო. გავიდა წლები, ლაზარემ რატომღაც ის წერილი გაიხსენა, ბაბუმ რომ დიდი რუდუნებით უსახსოვრა. ბევრჯერ უცდია მისი წაკითხვა, მაგრამ მიხვდა, რომ სწორედ ახლა იყო მზად მის წასაკითხად.

– ლაზარე, ბაბუ, შენ ყველაზე მეტად გესმის ჩემი, რადგან ჩემს უბეში გაიზარდე. ავიც განწავლე და კარგიც. მალე უმაღლესი განათლების მისაღებად დამკვიდრდები ქალაქში, მერე სამსახურიც გექნება და ოჯახიც, რაც აუცილებელია, მაგრამ გახსოვდეს ანდერძი, რომელსაც მე გიბარებ.

დადგება დრო, როცა ჩვენი სოფელი დაცოტავდება, ჩემი თაობა წავა ამქვეყნიდან, შენი თაობის გოგო-ბიჭები, ძირითადად, ქალაქში ცხოვრებას აირჩევენ, მაგრამ იქ ცხოვრება ყოველთვის არ იქნება საინტერესო, ერთხელაც მოგბეზრდებათ და ისევ სოფლისკენ გაგიწევთ გული. ეს იცოდე, ბაბუ, ადამიანი თავისუფალი მხოლოდ ბუნებაშია და არა ბეტონის კედლებში; სრულ თავისუფლებას მხოლოდ აქ, სოფელში ჰპოვებ და არა გადატვირთულ ქუჩებში. არასოდეს დაივიწყო შენი კერა.იცოდე, რომ ისე არსად არავინ დაგიცავს, როგორც შენი მამა-პაპის სახლი. ლაზარემ ბაბუას ანდერძი შეასრულა, ოჯახთან ერთად სოფელში დასახლდა და როგორც შენი მოთხრობიდან მახსოვს, ყველაზე ბედნიერ ადამიანად იქცაო.

სტუმარი გავაცილე. ლაზარე, ანდერძი... ფიქრებში ჩავიკარგე. ყველა ნაწარმოებს ხომ რაღაც იდეა უდევს საფუძვლად?

როგორც მახსოვს, მაშინ ეს ამბავი, იმ 90-იანი წლების სუსხიან დროს დავუკავშირე. საჩხერის რაიონში მალაზიების დახლებიდან მოულოდნელად გამქრალი პური ჩვენი არსობისა; მის მოსაპოვებლად თბილისისკენ მიმავალ მატარებელში ჩემი ბიძაშვილების გატარებული გრძელი ღამეები კინოკადრებივით ახლაც თვალწინ რომ გამიელვებს ხოლმე, განსაკუთრებით მათ მხრებზე მოკიდებული პურის ტომრების გრძელი ჯაჭვის დაუვიწყარი სურათი, ხელისგულივით რომ მოჩანდა ჩემი ეზოდან და შინ დარჩენილების ოვაცია-შეძახილები, დაბრუნდნენ ჩვენებიო. ...მეხსიერებას შემორჩა ის ერთფეროვანი რუტინა, რომელიც, სამწუხაროდ, დიდხანს გაგრძელდა...



გაუსაძლისი ყოფითი პრობლემების გამო დაცოტავდა, დაპატარავდა ერთ დროს რვაასკომლიანი ჩემი სოფელი საირხე. მხოლოდ მოხუცების ამარად დარჩენილი, როგორც სხვა სოფლები, ისიც ვაჟკაცურად ებრძოდა ყოველდღიურ ყოფას. სამწუხაროდ, ჩემი ბაბუა და ბებია – გენო და კატო ახალგაზრდები წავიდნენ ამქვეყნიდან, მაგრამ, სამაგიეროდ, ბიძაჩემს და ბიცოლაჩემს – ზინას და გაიოზს თვალი ყოველთვის ეზოს ზღურბლისაკენ ეჭირათ, იქნებ, ვინმემ ძილი გაგვიტეხოს და სტუმრად გვეწვიოსო.

დიახ, ჩემი მოთხრობა „ანდერძიც“, სწორედ ასეთ მიგრაციას დავუკავშირე. მართალია, ჩემი წინაპრები, გენადია და კატუშა იმ რთულ დროს ვერ შეესწრნენ, მაგრამ ყოველთვის მახსოვდა მათი თავდაუზოგავი შრომა და გმირობა და ის, რომ არასოდეს უნდა მიმეტოვებინა მათი საძვალე. მახსოვს, იმდენად განვიცადე მაშინდელი მწარე რეალობა, ყველა ჩემი დარდი, ალბათ, იმ მოთხრობაში გადავიტანე, მერე, ყველასთვის მოულოდნელად, საჩხერის რაიონს მაგარმა კაცმა მოკიდა მაგარი ხელი. რაიონი გამოცოცხლდა, გაჩნდა ძირითადი მოხმარების პროდუქტები, უსწრაფესად ვითარდებოდა ადგილობრივი ინფრასტრუქტურა და მალე ჩემი მშვენიერი კუთხე თითით საჩვენებელი გახდა.

ამ ყველაფრის ავტორი სოფელ ჭორვილის მკვიდრი, ქველმოქმედი ბატონი ბიძინა ივანიშვილი გახლდათ. ქალაქად ლუკმაპურის საშოვნელად გახიზნული ახალგაზრდები დაუბრუნდნენ თავიანთ მამულებს და სოფელი საირხეც გამოცოცხლდა. რაც მთავარია, საირხესა და ჭორვილის გზაგასაყარზე ბიძინა ივანიშვილის მეცენატობით დღეს ისევ აღდგენილია ის ძველი სკოლის შენობა, როგორც საერთო წარსულის სიმბოლო.

მახსოვს ჭორვილაში მცხოვრები კახა მეგრელიშვილის ოჯახის ამბავიც. კახას მამას ომისას ერთი ჩვეულებრივი ოჯახი ჰქონდა. კახა თავის ოჯახთან ერთად ერთ ძველ ხის სახლში ცხოვრობდა და თავს თბილისში მუშაობით ირჩენდა. ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ ახალი ჭერი ექნებოდა, ვიდრე ერთ დღეს ადგილობრივ მუნიციპალიტეტში არ დაიბარეს და უთხრეს, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილის ფონდი მას თანამედროვე სახლის მშენებლობას დაუფინანსებდა და საკუთარი სახლის მშენებლობაში გადაუხდიდნენ ხელფასს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მაშინდელი გაჭირვების წლების დამარცხება საჩხერის რაიონში ბატონი ბიძინას სახელს უკავშირდება.

დრომ ყველაფერი თავისებურად შეცვალა, მათ შორის, ჩემს სოფელშიც. უწინდებურად ძველი თაობა აღარ მხვდება სოფლის შუკებში, სამაგიეროდ, აქ ახალგაზრდობა კვლავაც იცავს წინაპართა მემკვიდრეობას და, რაც მთავარია, ჩემი სოფლის მეგობრებს არ ავიწყდებათ იმ დაკარგული მოთხრობიდან მთავარი სათქმელიც – არასოდეს დაივიწყო წინაპრების კერა, რადგან ისე არსად არავინ დაგიცავს, როგორც შენი მამა-პაპის სახლი.

*ლევან ჭილლაძე*



# იურიდიული რჩევები

**თქვენს კითხვებს პასუხობს საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი ლევან ჭილლაძე**



●

**– სასამართლომ სამოქალაქო საქმეზე ვერ დაადგინა ჭეშმარიტება. მოწმეებმა სხდომაზე იცრუეს. შემიძლია თუ არა მივმართო პროკურატურას?**

– დიახ, თქვენ გაქვთ უფლება, ასეთ შემთხვევაში მიმართოთ პროკურატურას და განცხადებასა და გამოკითხვის ოქმში მიუთითოთ ყველა ამ გარემოების შესახებ.

●

**– გამომძიებამ ჩემი ოფისიდან წაიღო ნივთმტკიცებები, რომელთაც არ მიბრუნებს სასამართლო განაჩენის საბოლოო დადგენამდე. არადა, მე ეს ნივთები მესაჭიროება. აქვს თუ არა გამომძიებას ამისი უფლება?**

– დიახ, გამომძიებას აქვს ამის უფლება. აღნიშნული ნივთმტკიცებები დაგიბრუნდებათ იმავე სასამართლოს განაჩენით.

●

**– გამომძიებელი მიბარებს დაკითხვაზე. ვიცი, რომ ჩემზე მოახდენს ზეგავლენას. არ მინდა, მას მივცე ჩვენება, რადგან დამაბნევს, არ ვენდობი. როგორ მოვიქცე?**

– თქვენ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გაქვთ უფლება, უარი განცხადოთ გამოძიებაში ჩვენების მიცემაზე და გამომძიებელს მოსთხოვოთ, რომ ჩვენებას მისცემთ მხოლოდ მაგისტრატ მოსამართლესთან ერთად სასამართლოში, რაც უკანონოდ არ ჩაგეთვლებათ.

●

**– ჩემს ძმას გაუნახევრდა ციხეში სასჯელის მოხდის ვადა. ვადამდელი ადრე გათავისუფლების კომისიამ უარი უთხრა შეწყალებაზე. შემიძლია თუ არა მათი გადაწყვეტილების სასართლოში გასაჩივრება?**

– დიახ, შეგიძლიათ. ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება შეგიძლიათ ადმინისტრაციული წესით გაასაჩივროთ სასამართლოში, მოითხოვოთ მისი ბათილად ცნობა და ახალი გადაწყვეტილების გამოტანა.

ტელ.: 555 75-04-45

# „აგენტურული პლაცდარმის“ ვეტო დაძლეულია!



ვეტოდებია ფინთიკოზამ კიდევ ერთი, მაგრამ, სავარაუდოდ, არაუკანასკნელი ვეტო გამოისროლა, ამჯერად „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონის“ შესახებ.

ისემც უქნია, ცხონებული პაპაჩემის გაუხედნავ ულაყზე გადამჯდარა, მაგრამ ისეთი უცნაური შეთავაზება-წინადადებები მოაყოლა, ხმამაღლა რომ გავიმეორე, ჩემი მხლის ხეზე მოპეპლავე შაშვები კინაღამ ტოტიდან ჩამოცვივდნენ.

კრუასანმა აწყინა თუ „გამჭვირვალობის კანონის“ გამო ისედაც ატეხილი მუცლისგვრემა ლობიომ გაუმწვავა, რას გაიგებ — ნოემბერში მიიღეთ ეგ ვირიშვილი კანონი და აღარ გავქაჯდები, კაი გოგოს როლს ვითამაშებო; პასუხი რომ შეიტყო — ბებიაშენისამო, ეტყობა, ფრანგულ კონიაკს მიეძალა და ნაბახუსევზე უარესი თქვა — ერთი დღით მიიღეთ, ყაბულსა ვარო.

პასუხად რომ შეუთვალეს, გაზაფხულია, უკვე მაისი, ჯანზე როგორა ხარ, ხელი მაისვიო, — ხმა საწრაფოდ საფრანგეთისკენ გატეხა და მაკრონს ეცა, ჩამო, კაცო, რას დაყუდებულხარ მაგ პარიზში, რას დარჭობილხარ მანდ, პარიზის ხამი ხარო?

იმან, ეტყობა, წაიჭუჭყუნა, მაცადე, მადამ, მასეთ რუსულ კანონს აგერ, ახლა ვიღებ მე, სად მცალია საწანწალოდ, თან მაგ შეუგნებელ „ქართულ ოცნებასთანო“.

— ბიჯო, მანდ მიიღეთ, ძალიანაც სწორია, მაგრამ აქ მე რა ვქნა, მეო? — ტონი ავისმომასწავებლად შეუცვლია მადამ „კოჭლ იხვს“.

— გადააჯექი ცოცხს და გამოფრინდი სამშობლოში, სხვა რა უნდა ქნაო? — წვეტიანი ცხვირი უფრო წაგრძელებია ემანუელ-ბიჭს.

— კაცო, შენ ხომ არ უბერავ, მაგხელა საფრანგეთის პრეზიდენტი ხარ, რამ შეგაშინაო? — გაწიწმატებულა ეს ჩვენისა.

— წუხელ ცუდი სიზმარი ვნახე, ბაგრატიონი მესტუმრა და უშნოდ იქნევდა იმ თავის ხმალსო.

— ბაგრატიონი და ხმალი არა, შვანცკის გორა, რას იწმაწნები უშნოდო? — გაკაპასებულა ესა.

— მოიცა, აბა, ოლაფ შოლცს დავურეკავ, იქნებ, წამომყვესო, — იმ ჩვენისა მაკრონს კიდევ ისეთი სიყვარული, შიში, რიდი და პატივისცემა აქვს ხანდაზმული ქალებისა, საცოდავი წუკლაკი ძაღლის ლეკვივით წუწუნკუნია და კავშირი გაუწყვეტია.

— მუსიე მაკრონ, თუ გინდა, მთლად ოტო ფონ ბისმარკს დაურეკო, — მიაძახა ამან თურმე, მაგრამ იმან ვეღარ გაიგონა.

ცოტა ხანში მაკრონს გადაურეკავს, ოლაფთან დავრეკე, მაგრამ ცოლმა მითხრა, კისერზე წურბელები აზის, ვერ დაგელაპარაკებაო.

— რა წურბელები და მატლები, მუსიე მაკრონ, ჩემი სიკვდილი გინდათო? — მთლად გადარეულა ესა.

— რა თქვენი სიკვდილი, მადამ, ოლაფს სიზმარში სტალინი უნახავს, ანალენა ბერბოკს ჩიბუხს აწევინებდა და ოლაფი რომ დაუნახავს, დაუძახია, მოდი აქ, შენც მოგაწევინებ ცოტასო და საიდანღაც გამომძვრალ ურსულას უთქვამს, მოდი კრუგში მოვწიოთ, მაგას სულ კაი თამბაქო და ღვინო აქვს, საქართველოდან უგზავნიანო, — სხაპასხუპით მიუყრია ემანუელს.

— აქ რა სიზმრებს მიყვებით ეს ორი ამხელა მუტრუკი, ერთდროულად თავი რამეს მიარტყითო? — ისეთი დასაბმელი გამხდარა სალომე ზურაბიშვილი, ორბელიანების სასახლეში დარბოდა თურმე და გავებული ხან „პაშლი ვი ნა ხ*ის“, ყვიროდა, ხან „ნადაელი ეტი ბლიადიო“.

კარგახნის შემდეგ, მოულოდნელად მაკრონს დაურეკავს, შოლცი და მე ანდალუსიელ გამომლოცველთან გადავფრინდით და ჩვენი სიზმრები წყალს რომ გაატანა, ცოტა მოგვეშვა და ახლა ერთობლივ განცხადებას გავაკეთებთ, დავგმობთ მაგ თქვენი მთავრობის გადაწყვეტილებას „გამჭვირვალობის კანონის“ მიღებასთან დაკავშირებით, მეტი რა ვქნათ, ვერ შევაშინეთ ვერავინ და ვერაფრითო.

— მაცადე, ბიჭო, „პარტნიხასთან“ ვარ, 26 მაისისთვის თეთრ პალტოს ვიკერავ და მაზომებს, პრიმერკაზე ვარო, — ცოტა მომბალს უთქვამს ამას.

— 27-ში რას იცვამ, ბრიჯიტს აინტერესებსო...

— ეკატერინე მედიჩის საშობაო კაბას — რა უნდა ჩავიცვა, მე რა შუაში ვარო, — შეუღრენია ამას.

გათენდა 26 მაისი და მართლა მოკლე, თეთრი პალტოთი და წითელი ბლუზით გამოგვეცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავ საზეიმო-სახალხო დღესასწაულზე ქალბატონი, ვითომ, საქართველოს დროშის ფერები მისთვის პატივსაცემი და დასაფასებელი იყოს. ნამდვილად სიმპათიურად გამოიყურებოდა, მაგრამ პირი გაალო და გააფუჭა ყველაფერი.

ამ ქალმა ხომ ადამიანური ლაპარაკი ვერ ისწავლა, სად რა უნდა თქვას, არ იცის. არავინ არიგებს თუ არიგებენ და არავის უსმენს, პირადად მე ვერ დავადგინე — მოსდგა და ისეთები თქვა, სტვენა ავუტეხეთ, მოღალატე ვუძახეთ და ტრიბუნიდან ვაგდებდით. როგორც თვითონ იტყოდა, ტყვილა ვუფშტვინეთ, სანამ თავისი არ მოითავა, არ გაჩერდა. სრულებით არ ენაღვლებოდა რა დღე იყო, რა ევალებოდა როგორც ქვეყნის პრეზიდენტსა და მთავარსარდალს, ისე ლაპარაკობდა, გამოხოხებული მთავარსარდელი იყო — პოლიტიკური განცხადებების გამოსავლენი ტრიბუნა ჩაიგდო ხელში და მიდიი, შეუბერა დანჯღრეული „კამაზივით“. რაში ენაღვლებოდა წვევამდელების ფიცის დადება, თვითონ საქართველოს წინაშე დადო ფიცი და ფეხზე დაიკიდა. სამხედრო პირები და წვევამდელები ისე უყურებდნენ და უსმენდნენ, სახეზე ეწერათ, „ერთი შენი კარგებიც მოვიკითხეთო“. ასეთი თანამდებობისთვის შეუფერებელი არავინ მინახავს!

> „ზვიად გამსახურდია, როგორც დიქტატორი, დაამხო დემოკრატიულმა ძალებმა. ამისთვის თენგიზ კიტოვანს, ჯაბა იოსელიანს, თენგიზ სიგუას და მთელს ოპოზიციას–დიდი მადლობა"
>
> სალომე ზურაბიშვილი.
> 1992 წლის 7 იანვარი.

პრემიერ-მინისტრი მივიდა ტრიბუნასთან და ყველას ერთგვარად ცოტათი მაინც მოგვფახანა გული, „მოღალატე პრეზიდენტიო“ და პროტოკოლის მიხედვით, ისევ იმ მოღალატე პრეზიდენტს მიუჯდა გვერდზე. გამოუვალ სიტუაციაში ჩავარდნილი ორივე შემებრალა — პრემიერი წინ იყურებოდა, პრეზიდენტად წოდებული ქალი კი მარჯვნივ, რა ექნათ, ერთმანეთს ჯიკაობას და ყვირილს ხომ არ დაუწყებდნენ: გადაჯექი, მე შენ გელაპარაკები, გადაჯექიო. მერე სად გაშპა, არ ვიცი, მაგრამ მისი შპანა რომ კაჭრეთში წასულა სათათბიროდ, ეგ კი გავიგეთ ყველამ. ალბათ, კაი პური უნდა ეჭამნათ, თორემ სათათბირო ადგილების მეტი რა არის აქვე, თბილისში. შეღამებულზე ან ისინი მიადგებოდნენ ამას, ან ეს გადაფრინდება ცოცხით იქა-მეთქი, ვიფიქრე და, ასე ამიცხადდეს ყველაფერი კარგი!

მანამდე, მაკრონმა იფიქრა, ეს ცანცარა მადამი რაღაც დიპლომატიურ შარში გამხვევსო და საფრანგეთის საელჩომ სალომე ზურაბიშვილისადმი მაკრონის მოწერილი მოსალოცი უსტარი გამოაქვეყნა, რომელიც ასე იწყებოდა: „ქალბატონო პრეზიდენტო, ძვირფასო სალომე“, მაგრამ შემდეგ რაც ეწერა, სალომესავით აბურდული იყო, ზუსტად ისე, „სად ერეკლე და სად ჩემი ყურებიანი ქუდი“ — „იმ დროს, როცა რუსეთმა დააბრუნა ომი ევროპის კონტინენტზე, მსურს, კიდევ ერთხელ დავადასტურო საფრანგეთის ურყევი მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მიმართ, მისი დამოუკიდებლობის აღდგენის აღნიშვნის ამ ესოდენ სიმბოლურ დღეს“.



„რაო, ვალიკო, რა მინდაო? რა უნდა უნდოდეს, ცეკვავს!“

მთელ მილოცვას ხომ არ გავარჩევ, ეს მაკრონი ვერლავესაა, სამ ტანცუეტ, სამ პაიოტ! საფრანგეთი პუტინის ინაუგურაციას არ დააკლდა „ჩანგალზე“ და ჩვენ რაღა ვართ..

გეუბნებით, ამ მაკრონს მართლა ძველმეგრული სისხლი უყოვის და არ მიჯერებთ! „საქართველომ თვითონ უნდა აირჩიოს თავისი გზაო“. ესენი ვერ არიან კარგად, ვერც ერთად და ვერც ცალ-ცალკე აღებული — რა ვიცი, არ აარჩიოთ, ჩვენ როგორც გეტყვით, ისე უნდა იყოსო და მაგის გამო დაიგლიჯეს ყველაფერი...

ჰოდა, იმას ვამბობდი, კუდიანების ქართულ შაბაშზე უხლაფორთიათ, რაღაც ისეთი პლატფორმა უნდა დავარქვათ ჩვენს ერთობას, სადაც „ქართული“ ან „ეროვნული“ იქნება ნახსენებიო და ბოლოს „ქართული პლაცდარმი“ გადაწყვიტეს. იმდენად ზარავთ სიტყვა „ეროვნული“, ვერაფრით მოირგეს. ეს გოგრის თესლები! „აგენტურული პლაცდარმი“ დაარქვით, შვილოსა, რა ტვინს იხნავთ!

იმ საწყალ ბიჭს რაღას ერჩოდა, გიორგი მსხილაძეს ეს სადისტი ქალი, ჰა?

იდგა საწყალი ბიჭი და ვაი იმ დგომას, მხცოვანი პაპაჩემის გალიფეს ჩაჩუტული ხვანჯრისძირი მაგონდებოდა. იდგა საწყალი ბიჭი და წყალს ისე სვამდა ჭიქას ჭიქაზე, ხიხათის ულელტეხილიდან მთაწმინდამდე ნარბენი მეგონა. იდგა და იდგა, მორიდებული ბავშვი რომ ჩაი*ვამს, ისეთი სახით იყურებოდა, ვედრება ეწერა სახეზე, არ გამლახოთ ბიძიებო და დეიდებო, მე არ მიქნია, იმ ქალმა ქნა და მე მბრალდებაო.

იდგა და იდგა. ხან რა ჰკითხეს, ხან — რა, მაგრამ დუმილის უფლებას ინარჩუნებდა. ერთი ის ამოღერღა, მუხლობრივ განხილვაში და შინაარსში არ შემოვალო. Aრო შემოხვიდე, რა იყო, როო? დედამ მითხრა, ცუდ ძიებთან ერთად არსად არ შეხვიდეო. შემო, კაცო, რო გეუბნებითო! არ შემოვალო! რატო არ შემოხვალ, ,პარკეტზე ფეხი აგისრიალდებაო? არაო, მაგრამ მაინც არაო!

ზვიად გამსახურდიას სურათების ჩამოკიდება სდომებიათ პარლამენტის სხდომათა დარბაზში და აგე, ზურა ჩამოგიკიდებთო, — ჩემკენ გადმოუმისამართებით და ხომ არ ვაწყენინებდი, თანაც, სალომე ზურაბიშვილი აწერს ხელს......

ეს ანრი ოხანაშვილიც რაღას გადაეკიდა, რადგან კომიტეტის თავმჯდომარეა? ხედავს ბიჭი უარზეა, არ უნდა ლაპარაკი, მარჯვენა ზედა და მარცხენა ქვედა კბილი აწუხებს, დაელალა ენაზე დაჭერით, მერე რა, რომ პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანია.

„რატომ არის სათაური ცუდი? რას გვთავაზობთ მის ალტერნატივად, ეს სათაური რით შევცვალოთ? ისიც დაგვიფიქსირეთ, სათაურზე პასუხს გვაძლევთ თუ არა, ეს გვითხარით? — გადაეკიდა ოხანაშვილი. არ მინდა და არ გიპასუხებო!

— ბიჯო, შენ ენა ხო მარ ჩაყლაპე, რატომ არ მპასუხო? — უდრტვინველი ანრი უფრო უდრტვინელი გახდა.

— იმიტომ! — ქედმაღლურად უთხრა ჩაჩუტულმა დედას ბუშტმა.

— რა „იმიტომ“, ბიჯო! — ყვიროდა მაყურებელი, მაგრამ იმას არც ესმოდა და ვერც ვერავის ხედავდა.

— რატომ არ გპასუხობთ? იმიტომ! სხვანაირად არ გესმით და რა გავაკეთო? — ტირილი დააპირა ტიპმა, მაგრამ გადაიფიქრა, გაიაზრა, რომ სადაც გაროზგავდნენ, იქ უნდა ეტირა.

— ბიჯო, „იმიტო მუნჯაძე“ ხარ თუ „მუმუ?“ — თავისთვის ჩაილაპარაკეს ილია და აკაკის ძეგლმა და ბანი მისცეს ოდესღაც ალექსანდროვის ბაღის მკვიდრ მიცვალებულთა სულებმა, ის კი მაინც დუმდა.

ნეტაი რას გულისხმობდა „სხვანაირად არ გესმითო“, რამე თქვა და ვერ გავიგეთ?

მომდევნო დღეს კი ამოიდგა ენა, მაგრამ ჯობდა ისევ ჩუმად ყოფილიყო.

რატომ?

იმიტომ!

„აგენტურული პლაცდარმის“ ვეტო დაძლეულია!

*ზურა ოშხერელი*

# საით მიექანება მსოფლიო?



დღეს მსოფლიოში სახიფათო ვითარებაა. სამწუხაროდ, არსებული რთული სიტუაციის განეიტრალებაზე პოლიტიკოსთაგან ცოტა ვინმე თუ ფიქრობს და საუბრობს, რაიმე მოქმედებების განხორციელებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. შესაბამისად, სამყარო უფსკრულის პირს სახიფათოდ მიუახლოვდა...

Bბოლო დროს სხვადასხვა ქვეყნის პიროვნიკები თუ პოლიტიკოსები ხშირად საუბრობენ ბირთვული იარაღის გამოყენებაზე, მაგრამ ბირთვულ ომში რომ გამარჯვებული არავინ იქნება, კარგად იციან. კუნთებს ერთმანეთის დასანახად ათამაშებენ, ამიტომ რიტორიკული გახდა შეკითხვა: საით მიექანება მსოფლიო?

კვლავ რთული ვითარებაა ახლო აღმოსავლეთსა და უკრაინაში; ისრაელის არმია აგრძელებს „ჰამასის“ შეიარაღებულ დაჯგუფებასთან ბრძოლას... შარშან ოქტომბერში, ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ „ჰამასის“ ტერორისტული შეტევის შემდეგ საკუთარ მოსახლეობას შეჰპირდა, რომ ყველა მძევალს მალე გაათავისუფლებდა და „ჰამასს“ მკაცრ პასუხს გასცემდა. თუმცა, შვიდი თვის განმავლობაში ისრაელის არმიამ ვერ მოახერხა მძევლების განთავისუფლება, „ჰამასისთვის“ პასუხის გაცემა კი სისასტიკეში გადაიზარდა.

პალესტინის ანკლავი, ღაზას სექტორის ქალაქები ნანგრევებად არის ქცეული. 2 მლნ მოსახლე საკუთარ ქვეყანაში დევნილებად იქცა და უსაფრთხო ადგილის ძებნაში ქალაქიდან ქალაქში, რეგიონიდან რეგიონში გადადის. Aამ შვიდი თვის განმავლობაში, ანკლავის ტერიტორიაზე დაბომბების შედეგად დაღუპულია თითქმის 37000 მშვიდობიანი მოსახლე, რომელთა შორის ბევრი ბავშვია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა არაერთხელ გააკრიტიკა ისრაელის არმია სისასტიკისთვის, მაგრამ დიდი ხანია, რაც ნეთანიაჰუ არავის აზრს აღარ ითვალისწინებს. აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა სამჯერ სთხოვა ნეთანიაჰუს, რომ გამოეჩინა ჰუმანიზმი ღაზას მოსახლეობისადმი. მართალია, აშშ-მა დროებით შეუჩერა ისრაელს იარაღის მიწოდება, თუმცა ფინანსურ დახმარებას კვლავ განაგრძობს.

„ჰამასის“ შარშანდელი შეტევა მშვიდობიან მოსახლეობაზე ტერორისტულ აქტად შეაფასა მსოფლიო საზოგადოებამ, თუმცა ისრაელის საპასუხო შეტევა შეიარაღებულ დაჯგუფებაზე — გაამართლა. სიტუაცია მოგვიანებით რადიკალურად შეიცვალა, ამიტომ, ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი ცდილობს, ისრაელის პრემიერ-მინისტრის, ისრაელის თავდაცვის მინისტრისა და „ჰამასის“ ლიდერების დაპატიმრების ორდერები მიიღოს. საერთაშორისო პროკურორის ამ მოთხოვნამ სკანდალი გამოიწვია, ნაწილი ქვეყნებისა ეთანხმება მას, ნაწილი — წინააღმდეგია.

თავად პროკურორის განცხადებით, მასზე განსაკუთრებული ზეწოლა აშშ-იდან ხორციელდება. ჯო ბაიდენმა საჯაროდ მოუწოდა სასამართლოს, ისრაელს თავი დაანებონ. პრეზიდენტის განცხადებით, დაუშვებელია



ისრაელის ხელისუფლებისა და „ჰამასის“ ერთ სიბრტყეში გაერთიანება. აშშ-ის კონგრესის სპიკერის, მაიკ ჯეკსონის განცხადებით, მისი ქვეყანა არ ცნობს საერთაშორისო სასამართლოს, რადგან ამ ორგანიზაციის აღიარება აშშ-ის სუვერენიტეტის შელახვა იქნებაო.

აქვე გასახსენებელია, რომ წლების წინათ საერთაშორისო სასამართლომ სცადა, გამოძიება დაეწყო ავღანეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. შედეგად, აშშ-მა ჰააგის სასამართლოს თანამშრომლებს სანქციები დაუწესა. სავარაუდოდ, ამიტომ შეაფასა საერთაშორისო პროკურორის მოთხოვნა „აბსურდულად“ უნგრეთის პრემიერმა ვიქტორ ორბანმა, რადგან იცის, რომ ისრაელის მხარდამჭერი მეგობარი ქვეყნები არ დაუშვებენ, საერთაშორისო სასამართლომ გამოძიება გენოციდის ბრალდებით დაიწყოს.

მძიმეა და შესაძლოა, კიდევ უფრო გართულდეს უკრაინაში არსებული სიტუაცია. რუსეთ-უკრაინის ომში უკრაინის არმია არასახარბიელო ვითარებაშია. აშშ-იდან მიღებული ფინანსური დახმარების მიუხედავად, ფრონტზე შეიარაღების მხრივ დეფიციტი აქვთ. უკრაინის ხელისუფლება, მიუხედავად დახმარებისა, უკმაყოფილოა, რადგან მიაჩნიათ, რომ პარტნიორებმა დააგვიანეს შეიარაღების მიწოდება. განსაკუთრებულ დეფიციტს განიცდიან ჯარის პირადი შემადგენლობის მხრივ.

ნატო-ს სამხედრო ექსპერტების შეფასებით, უკრაინის არმიამ ბევრი გამოცდილი მებრძოლი დაკარგა, გამოუცდელი ჯარისკაცები კი მიწოდებულ შეიარაღებას ეფექტიანად ვერ იყენებენ.

უკრაინაში დაიწყო მასობრივი მობილიზაცია. სამხედრო კომისრებს ნებართვა აქვთ, მობილიზაცია განახორციელონ ყველგან, სადაც საჭიროდ მიიჩნევენ. მე-2 და მე-3 ჯგუფის ინვალიდებს ხელახლა უტარებენ სამედიცინო კომისიას, ბევრ დაავადებას არ თვლიან გაწვევის გადავადების მიზეზად. მოკლედ რომ ვთქვათ, ძალადობრივი მეთოდებით აკომპლექტებენ სამხედრო ნაწილებს.

Eექსპერტების განცხადებით, ახალწვეულების გაყვანა ბრძოლის ველზე დაუშვებელია სხვადასხვა მიზეზებით. უპირველესად, მათ გაწვრთნას დრო სჭირდება, რაც უკრაინას აღარ აქვს; შემდეგ, იძულებითა და დაშინებით ბრძოლის ველზე გაყვანილი ჯარისკაცი არასაიმედოა, იგი პირველივე შესაძლებლობისას ტყვედ ჩაბარდება.

გასულ კვირას, ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ უკრაინას უნდა დართონ ნება, რომ მოკავშირეების მიერ გადაცემული შეიარაღებით შეუტიონ რუსეთის ქალაქებს ქვეყნის სიღრმეში. იმავე წინადადებით გამოდის აშშ-ის კანონმდებლების ნაწილიც.

სტოლტენბერგის ინიციატივას უმალ გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები. ერთ-ერთმა პირველმა, გენმდივნის წინადადება უნგრეთის პრემიერმა ვიქტორ ორბანმა დაგმო. Mმისივე განცხადებით, შესაძლოა, უნგრეთმა გადახედოს ქვეყნის მიერ აღებულ ვალდებულებას ნატო-სთან მიმართებაში, რათა შესაძლებლობა ჰქონდეს, უარი თქვას ალიანსის ცალკეულ აქციებში მონაწილეობაზე. სტოლტენბერგმა ორბანს გამოცემა „ეკონომისტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში უპასუხა: „...უნგრეთი ვერ შეძლებს, შეარყიოს ალიანსის ერთიანობა... ნატო-ში ერთობლივად ვიღებთ გადაწყვეტილებებს, ამიტომ, დარწმუნებული ვარ, შევძლებთ ალიანსის ერთიანობის შენარჩუნებას“.

ნატო-ს გენმდივანმა კრიტიკა იტალიელთა მხრიდანაც დაიმსახურა. ვიცე-პრემიერ მატეო სალივანის განცხადებით, მათი იარაღით რუსეთის ტერიტორიაზე შეტევამ, შესაძლოა, მსოფლიო ომი გამოიწვიოს: „...არ მინდა, ჩემი შვილები მსოფლიო ომის შიშით იზრდებოდნენ და ცხოვრობდნენ“. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანტონიო ტაიანიმ სტოლტენბერგს უსაყვედურა: „...იტალია ნატო-ს უცვლელი სრულუფლებიანი წევრია. გადაწყვეტილებები ერთობლივად უნდა მივიღოთ. რა შეიარაღებასაც უკრაინას ვაწვდით, ის მათ ქვეყნის შიგნით უნდა გამოიყენონ და არა მის ფარგლებს გარეთ. არცერთი იტალიელი ჯარისკაცი არ წავა უკრაინაში საბრძოლველად“.

საინტერესოა კიდევ ერთი გარემოებაც — „ეკონომისტთან“ ინტერვიუში სტოლტენბერგმა ვერ დაასახელა დრო, როდის გახდება უკრაინა ნატო-ს წევრი. გენმდივნის თქმით, ჯერ კონფლიქტი უნდა დასრულდეს და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა ალიანსისას შეესაბამებოდეს. მისი სიტყვებიდან გამომდინარე, ალიანსში უკრაინის გაწევრიანება ჯერ კიდევ შორეული პერსპექტივა ყოფილა.

ამასობაში კი უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის საპრეზიდენტო ვადა ამოეწურა. მათი კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყნის მართვა ზელენსკიმ პარლამენტს უნდა გადასცეს, რადგან საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებაზე უარი განაცხადეს. ახლა უკრაინას არალეგიტიმური პრეზიდენტი მართავს.

სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრ რობერტ ფიცოზე თავდასხმამ რეალურად შეაშფოთა მსოფლიოს პროგრესული საზოგადოება. საბედნიეროდ, ფიცო გადარჩა, მაგრამ დღემდე საავადმყოფოში რჩება. სამართალდამცველებმა უნდა გაარკვიონ, იყო თუ არა ფიცოს ლიკვიდაცია შეკვეთილი, ვინ დგას თავდამსხმელის უკან, — კითხვები ბევრია, თუმცა, გავიგებთ თუ ვერა სიმართლეს, მომავალში გამოჩნდება.

ევროპაში პოლიტიკური მკვლელობა დიდი ხანია, არ ყოფილა. ფიცოზე თავდასხმის შემდეგ თანამედროვე ევროპის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაიწერა — დაბრუნდა პოლიტიკური ტერორი.

ანალიტიკოსები შიშობენ, რომ ცალკეული ევროპელი პოლიტიკოსები ოპონენტების დასაშინებლად ტერორიზმის ენას გამოიყენებენ.

ახლახან, თურქეთში აღკვეთეს სახელმწიფო გადატრიალების მორიგი მცდელობა (წინა მცდელობა 2016 წელს იყო);

დადასტურდა, რომ სერბეთის პრეზიდენტ ალექსანდრ ვუჩიჩზეც იგეგმებოდა თავდასხმა, რომელიც იქაურმა სამართალდამცველებმა აღკვეთეს;

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძეს პირადად დაემუქრა ევროჩინოვნიკი...

სამწუხაროდ, დასტურდება ანალიტიკოსების შეფასება — დამკვიდრებას იწყებს პოლიტიკური ტერორიზმი, ვისი თაოსნობით, უცნობია.

ინაუგურაციის შემდეგ თავისი პირველი ოფიციალური ვიზიტი რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ჩინეთში განახორციელა. მისი და სი ძინპინის შეხვედრა არავის უკვირს, თუმცა ამჯერად, მსოფლის პოლიტიკოსები განსაკუთრებით ყურადღებით აკვირდებოდნენ მათ შეხვედრას.



ცნობილმა ამერიკელმა ანალიტიკოსმა მაიკლ პილობერიმ „სტრატეგიულ კოშმარად“ შეაფასა პუტინისა და სი ძინპინის შეხვედრა. მას მიაჩნია, რომ პუტინის ჩინეთში ვიზიტმა აშშ-ს კოლოსალური ზარალი მიაყენა.

მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ახლო მომავალში, ბევრი რამის ხილვა მოგვიწევს. სავარაუდოდ, ბევრი დაფარული ამბავიც გამოაშკარავდება. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას!..

*გია ბურდული*



№19 (752) 29.V.2024 წ.

ამ დაავადებას რომანტიკულად „სასიყვარულო დაავადებასაც“ უწოდებდნენ, არადა, ის ადამიანს, ფაქტობრივად, ამახინჯებს, რომ არაფერი ვთქვათ ნერვულ სისტემაზე მისი გავლენის შესახებ.

მიაჩნიათ, რომ ათაშანგი ქრისტეფორე კოლუმბმა ჰაიტიდან ჩამოიტანა ევროპაში, თუმცა, ციურიხელმა მეცნიერებმა ადამიანების ცხრა ნაშთი აღმოაჩინეს, რომლებიც კოლუმბამდე ასობით წლით ადრე ცხოვრობდნენ დღევანდელი ფინეთის, ესტონეთისა და ნიდერლანდების ტერიტორიებზე. ცხრიდან ოთხ ნაშთში აღმოაჩინეს ამ დაავადების კვალი. ამის მიუხედავად, ჯერჯერობით, ეს ჰიპოთეზა, კვლევების არასაკმარისი რაოდენობის გამო, უპირობოდ არ არის დადასტურებული.

გავრცელებულ ვერსიით, 1493 წელს, როდესაც კოლუმბი და მისი მეგობრები კარიბის ზღვის აუზის კუნძულების ბრწყინვალე საზღვაო ლაშქრობიდან დაბრუნდნენ და თან ჩამოიტანეს საჩუქრები: თამბაქო, ცნობები სამეფოსთვის ახალი შესყიდული, თუ დაპყრობილი მიწების შესახებ, ათაშანგი, აქამდე უცნობი ტროპიკული ხილი და ქოქოსი. ყველაფერი შესანიშნავი იყო იყო, გარდა ვენერიული დაავადებისა, რომელიც ნამდვილი „სიურპრიზი“ გამოდგა.

მეზღვაურები და ჯარისკაცები, საზარდულის არეში გამოწვეულ ქავილს ყურადღებას არ აქცევდნენ, ნერვიულად იფხანდნენ ამ ადგილებს და ერთი სული ჰქონდათ, გრძელვადიანი საზღვაო მოგზაურობის შემდეგ მიღებული თანხა მაშინვე ბორდელებში დაეხარჯათ. ბორდელებზე შესვლისა და ჯიბეების დაცარიელების შემდეგ, ისინი კვლავ დაქირავებულთა შორის უნდა ჩაწერილიყვნენ ფინანსური მარაგების შესავსებად. მათდა „საბედნიეროდ“, იმ დროს ევროპაში კიდევ ერთი დიდი არეულობა იწყებოდა და დაქირავებული ჯარისკაცები საჭირო იყვნენ.

საფრანგეთის მეფე შარლ VIII-მ, რომელმაც ცოლად 15 წლის მარია ანჟუელი შეირთო, მასზე შთაბეჭდილებების მოხდენა და მისი გულის მოგება სურდა. მას უნდოდა დაემტკიცებინა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი დამპყრობელი იყო და ლაშქრობა მოიფიქრა.

შარლ VIII-ს გააჩნდა გარკვეული უფლებები იტალიის მიწებზე, ამიტომ მოემზადა და პირველი, ასე ვთქვათ, მარტივი ლაშქრობა ნეაპოლის სამეფოზე განახორციელა. არმია შედგებოდა 30 ათასი ჯარისკაცისაგან და ათასამდე პოლკის სექსმუშაკისგან, რათა ჯარისკაცებს ქალთა ალერსის მონატრება არ ეგრძნოთ.

შარლ VIII-მ არც საკუთარი თავი დაივიწყა და თან იახლა





# ევროპის გადალაგებისა და ეკლესიის გახლეჩის სათავე

„ფრეილინები“, რომლებიც მას „საოჯახო საქმეების მოგვარებაში უნდა დახმარებოდნენ“. მეფე იმდენად ენერგიული იყო „ფრეილინებთან საოჯახო საქმეების გადაწყვეტით“, რომ მეომრები, მეთაურის შთაგონებით, ცდილობდნენ, მას არ ჩამორჩენოდნენ და „ამ ფრონტზე განსაკუთრებული მონდომებით იღვწოდნენ“. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. ნეაპოლი სწრაფად დანებდა მეფეს და მანაც საკუთარ თავს „ნეაპოლისა და იერუსალიმის სამეფოების მეფე“ უწოდა. 24 წლის ასაკში, მრავალი სახელმწიფოს მმართველი, „ხარჭების ჰარემი“, ახალგაზრდა ცოლი... ამ ყველაფერს მხოლოდ ერთი დიდი წვეულება აკლდა.

გამარჯვების აღსანიშნავად გამართული ეს გრანდიოზული ღონისძიება მალევე გადაიზარდა ფართომასშტაბიან ორგიაში, რომელიც ორი თვის განმავლობაში გაგრძელდა. „უძველესი პროფესიის“ ათასობით ქალი მაშინვე ნეაპოლში ჩავიდა მთელი იტალიიდან. „სიფილისით“ ინფიცირებული რამდენიმე ჯარისკაცი საკმარისი იქნებოდა ეპიდემიის დასაწყებად, მაგრამ არმიაში რამდენიმე კი არა, ძალიან ბევრი იყო ასეთი. ძალიან მალე, თითქმის ყოველი მესამე ჯარისკაცი „სასიყვარულო დაავადებით“ დაავადდა.

ცოტა ხანში ყველას აწუხებდა ქავილი და გადიდებული გენიტალიები. ჭირით დაავადებულებიც კი არ ჩანდნენ ისეთი მახინჯები, როგორიც სიფილისით დაავადებულები. მაშინ ვერავინ მიხვდა, თუ როგორ ვრცელდებოდა ეს დაავადება და ამან გამოიწვია ურთიერგამომრიცხავი და განსხვავებული ჭორები.

ეკლესია, რა თქმა უნდა, გვერდზე არ გადგა და მაშინვე დაიწყო იმის მტკიცება, რომ ეს ყველაფერი ცოდვის „დამსახურება“ იყო. ჭირი, მათი აზრით, ღმერთმა მომაკვდინებელი ცოდვებისთვის გამოგზავნა, მაგრამ სიფილისი კიდევ უფრო საშინელი ცოდვებისთვის იყო მოვლენილი. ასე აშინებდნენ მღვდლები სამწყსოს, რომელთაგან ბევრი თვითონაც ისტერიულად იფხანდა საზარდულის არეს.

სწორედ აქ გაჩნდა ორი „გენიალური“ იდეა სიფილისის წარმოშობის შესახებ. პირველი: ვიღაცამ გაავრცელა ჭორი, რომ შარლ VIII-ეს ჯარისკაცები კანიბალები იყვნენ და სიფილისი სასჯელი იყო ამის გამო. მეორეს თანახმად კი, დაავადების გამომწვევი მიზეზი ცხენებთან სექსუალური კავშირის მასობრივი დამყარება იყო.

მაგრამ აქ კითხვა ჩნდებოდა, რატომ უნდა დაკავებულიყვნენ ცხენებთან სექსით ჯარისკაცები, თუ ათასობით ქალი იყო, რომლებიც უარს არავის ეუბნებოდნენ? ასეა თუ ისე, საჭირო იყო ხალხის დაშინება, რომ ისინი სახლებში გამოკეტილიყვნენ, იქიდან ცხვირი არ გამოეყოთ და სასქესო ორგანო „აქეთ-იქეთ არ ეტრიალებინათ“.

იტალიელები და ესპანელები გაერთიანდნენ და უბედური „სიფილისტიანები“ უკან, საფრანგეთში გაყარეს. კარლი არა მხოლოდ შეურაცხყოფილი იყო, ამასობაში ჩუტყვავილაც შეეყარა და არა მხოლოდ დასაცინი, არამედ საშინელი სანახავიც გახდა. საინტერესოა, რომ თავად კარლს სიფილისით არ დაავადებულა. სახლში ის ცოლს მიეჯაჭვა, შვილები გააჩინა, არცერთი მათგანი არ იყო ვენერიული სნეულებით დაავადებული და არც რაიმე თანმდევი შედეგი ჰქონიათ, რასაც სიფილისი იწვევს (ნაადრევი მშობიარობა, განვითარების შეფერხება, ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება და ა. შ.).

იმედგაცრუებულმა და დამცირებულმა კარლმა ყველა დაქირავებული მებრძოლი დაითხოვა და ჯარი დაშალა. თითოეული ჯარისკაცი ევროპაში, საკუთარ ქალაქში წავიდა, სადაც „სიყვარულის დაავადების“ გამავრცელებლები გახდნენ.

ეპიდემია იმდენად ძლიერი იყო, რომ 15 წლის განმავლობაში სიფილისი ჩრდილოეთ აფრიკასა და ევრაზიაშიც კი გავრცელდა. 1512 წელს ამ დაავადებამ იაპონიამდეც კი ჩააღწია, რამაც განაპირობა ის, რომ იაპონელებმა გადაწყვიტეს, მთელი მსოფლიოსთვის საზღვრები დაეკეტათ, რაც მე -19 საუკუნემდე გაგრძელდა.

მეფე შარლ VIII იტალიიდან დაბრუნების შემდეგ მალევე გარდაიცვალა ძალიან საეჭვოდ — მან დაბალ თაღში გასვლისას თავი მიარტყა, ცოტა ხანი კომაში იყო, რასაც მისი გარდაცვალება მოჰყვა. მეფის გარემოცვას და დიდებულებს რაიმე ლამაზი სიკვდილის ისტორიის მოგონებაც კი არ მოსვლიათ აზრად თავში. როგორც ჩანს, ისინი უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ მათი მონარქის წყალობით, სიფილისს "ფრანგული დაავადება" დაერქვა. შარლ VIII-ს სამეფო კარზეც მრავლად იყვნენ ამ დაავადებით შეპყრობილები.

ერთი შეხედვით, ეს უბრალო ისტორიაა "სამარცხვინო" ავადმყოფობაზე, მაგრამ მან სამყარო იმაზე მეტად შეცვალა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. დიდწილად, სწორედ სიფილისის წყალობით, ეკლესია გაიყო და პროტესტანტები უფრო წარმატებული გახდნენ, ვიდრე კათოლიკეები. ასეთ კატეგორიულ პურიტანიზმს კი „თბილად“ არ მიიღებდა სამწყსო, თუ საეკლესიო მოხელეები მათ ჯიუტად არ ჩაჩრიდნენ ე. წ. „მტკიცებულებებს“ იმის თაობაზე, რომ სიფილისი გარყვნილისთვის უფლის მიერ გამოგზავნილი სასჯელი იყო.

„ფრანგული დავადების“ დამსახურებით, ნიდერლანდებმა ესპანეთისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა;

სიფილისი გახდა ანტიესპანური პროპაგანდის საფუძველი. ნიდერლანდელმა პროტესტანტებმა განაცხადეს, რომ კათოლიკეები იყვნენ დაავადების წყარო. ამიტომ მათგან, უბრალოდ, უნდა გათავისუფლებულიყვნენ და ვენერიული სენი დამარცხდებოდა, თუმცა, ვერც მღვდლების დამზაფრავმა შეგონებებმა, ვერც შიშმა და ვერც საღმა აზრმა ვერ დაამარცხა სიფილისი. ადამიანები განაგრძობდნენ სექსუალურ ცხოვრებას, როცა უნდოდათ და ვისთანაც უნდოდათ, რამაც განაპირობა ის, რომ იმდროინდელი ევროპელის სიფილისით გარდაცვალების შანსი ბევრად მეტი იყო, ვიდრე შიმშილით, ომებით, ან სხვა დაავადებების და სიბერის გამო იყო შესაძლებელი.

სხვათაშორის, ეს დაავადება რომის სამ პაპსაც ჰქონდა...

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99